ეროვნული

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ, № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 128 პარასკევი, 9 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 9 ივნისი 1922 წ. № 128

შაბათს, 10 ივნისს, საღამოს 6 საათზე ყოფ. ქალაქის თვითმართველობის შენობაში შედგება

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

მნიშვნელოვანი საკითხების გამო სავალდებულოა ყველა წევრების თავის დროზე გამოცხადება.

მდივანი: **მეხხი.**

2—1

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა უკვე უზრუნველყოფილია

ჩვენ დიდი სიამოვნებით შეგვიძლია მივულოცოთ გურიის გლეხკაცობას ის ამბავი, რომ ოზურგეთში რკინის გზა მივა და მივა სულ ჩქარა. 30—40 წლის განმავლობაში ამ გზის გაყვანის შესახებ ბევრი ლაპარაკი და ბევრი იმედები იყო, ვინ არ გვპირდებოდა მის გაკეთებას. მაგრამ ყველა ეს იმედები გაცრუებული დარჩა, როგორც სხვა მრავალი ამგვარი იმედებიც. მართალია, 1914 წელს, მეფობის დროს, უკვე გადაწყვეტილი იყო მისი გაკეთება, მაგრამ წყეულმა იმპერიალისტურმა ომმა კიდევ ერთხელ ჩაშალა ეს საქმე.

შემდეგ იფეთქა რევოლიუციამ, და ქვეყნის მართვა-გამგეობას ჩვენში მოევლინენ მენშევიკები, რომელთაც 3—4 წლის განმავლობაში არც კი გახსენებიათ ოზურგეთის რკინის გზის ბედი. და ან კი რა ედარდებოდათ: იმათ აინტერესებდათ ბოლშევიკებთან ბრძოლა ერთი მხრით და უცხოელ იმპერიალისტებთან კავშირის დაჭერა მეორე მხრით. ამაში ხედავდნენ მენშევიკები თავის დანიშნულებას და მართლაც ამას ანდომებდნენ ისინი მთელ თავის ენერგიას და ძალას. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა ბედმა ისევ საბჭოთა ხელისუფლებას არგუნა. აქ უნდა განვაცხადოთ სრულიად გულახდილად, რომ ამ საქმეს ჩვენ გასულ წელსვე მოვკიდეთ ხელი, მაგრამ სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზებმა ხელი შეგვიშალეს შარშანვე მოგვეყვანა სისრულეში ჩვენი განზრახვა. ჩვენ არ ვმალავთ, ჩვენ ღარიბნი ვართ ახლაც, ჩვენი ქვეყანა გაძარცულ-გაყვლეფილია როგორც მენშევიკების, ისე სხვა შინაურ და უცხოელ სპეკულიანტების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ შევსძლებთ ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

საქმის დასაწყისი. უკვე გვაქვს რელსები, ხიდის გასამაგრებელი ბურჯები და სხვა მასალა, რაც კი საჭიროა გზის გასაყვანათ ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველოს მიერ გადადებულია, ამავე სამართველოს ნაბრძანები აქვს აგრეთვე სხვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა. თავი და თავი საქმე, მაშასადამე, უზრუნველყოფილია. დანარჩენი უნდა მოვაგვაროთ ჩვენ შინაური ძალებით.

გზის ხაზის გეგმა უკვე შედგენილია; ახლა ყველაზე უწინ ჩვენ უნდა შევუდგეთ მასალების დამზადებას, რისთვისაც უკვე გაცემულია ბრძანება დაეთმოს ოზურგეთის აღმასკომს საჭირო სიფართის ტყე.

რა თქმა უნდა, საქართველოს საბჭოთა მთავრობა გაიღებს ამ გზისთვის, რაც კი მას შეუძლია, მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, რომ მთელ ხარჯებს ის ვერ იკისრებს. საბჭოთა მთავრობა იღებს თავის თავზე უმთავრეს ხარჯებს და მასალას, რაც შეეხება შრომას, ეს უნდა გასწიოს ადგილობრივმა გლეხკაცობამ. ჩვენ ვაკეთებთ ამ გზას ხალხისთვის, და კარგათ გვაქვს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გურიის გლეხებს საკმარისათ აქვთ შეგნებული ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის მნიშვნელობა. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა საქმეს ვიწყებთ. ჩვენ გვწამს, რომ გურიის გლეხობა აღტაცებით შეეგებება ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს და იგი გვერდში ამოუდგება საბჭოთა მთავრობას ამ საქმის განხორციელების დროს. ეს აღფრთოვანება და ეს თანაგრძნობა არა სიტყვით, არამედ საქმით უკვე ჩანს. ამის დასამტკიცებლათ მე შემიძლია ვაჩვენო აქ იმ ტელეგრამაზე, რომელიც ამ ერთი დღის წინეთ მე მივიღე ბათომიდან **სანაპირო არტელის მუშების** მიერ ხელმოწერილი, რომელთაც ერთ ხმათ გადაუწყვეტიათ თავისი **ერთი კვირის ნამუშევარის** გადადება ამ საქმისათვის, რაც **რამდენიმე მილლიარდს მანეთს** უდრის ჩვენი ბონებით. გარდა ამისა, მე მაქვს დაპირება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების **საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მიასნიკოვის** მხრით, რომელმაც აღმითქვა რამდენიმე ვაგონი პურის დათმობა ამ გზის გასაყვანათ.

როგორც ხედავთ, დაწყებისათვის ესეც კმარა. ახლა საქმე **გურიის** გლეხკაცობაზეა. გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, ამ მცირე ხნის განმავლობაში უკვე გამოიჩინა უნარი აღმშენებლობაში, დამბების, სარწყავ არხების, ხიდების აგება და სხვ. ეჭვს გარეშეა, ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა შედარებით უკვე დიდი საქმეა. მისი გაკეთება ვერ შესძლო ვერც ერთმა წინანდელმა მთავრობამ, ვერც მეფის, ვერც მენშევიკების, და საგულისხმიეროა, რომ მისი შესრულება წილად ხვდა საბჭოთა ხელისუფლებას.

დეე ილაპარაკონ რაც ჰნდათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენმა მტრებმა. ჩვენ პირნათლათ და სინიდისიერათ შევასრულებთ ჩვენ მოვალეობას მშრომელი ხალხის წინაშე. საბჭოთა ხელისუფლება ჩვენ გვწამს, როგორც მთავრობა, რომელიც აკმაყოფილებს მუშების და გლეხების ინტერესებს. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ მტრებს მხოლოდ საქმით დავაყრევინებთ იარაღს, რომელსაც ისინი ჩვენ წინააღმდეგ ხმარობენ. მხოლოდ მენშევიკების გაჯიუტებული ბელადების მორჯულება შეუძლებელია. რაც შეეხება იმათ მიერ დატყუებულ მუშებს და გლეხებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ფაქტის, სინამდვილის წინაშე ისინი, რაც უნდა მოწამლული არ იყვნენ, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდებიან დარწმუნდენ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილათ ემსახურება მშრომელ ხალხს და თვით ისინი შეეცდებიან მის დაცვას. მაშ გაუმარჯოს იმ ხელისუფლებას, რომელიც აკეთებს ხალხისთვის მართლა სასარგებლო საქმეს! და ჩვენ ვდებთ პირობას, რომ თუ გურიის გლეხკაცობა ენერგიულათ მოკიდებს ხელს საქმეს, მიმდინარე 1922 წლის ბოლოს იგი იდღესასწაულებს ნატანებ - ოზურგეთის რკინის გზის გახსნას.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა არჩევნები აჭარაში

ამ დღეებში დასრულდა ავტონომიურ აჭარაში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების, ე. წ. ფუხარა ხალხის კომიტეტების არჩევნები. ეს უკვე მეორე არჩევნებია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან. თუ პირველ არჩევნების დროს ჯერ კიდევ ჰქონდათ ერთგვარი გავლენა ხალხის მტრებს—ბეგებს და მათ აგენტებს, ეხლახან დასრულებულ არჩევნებში სრული გამარჯვება ნამდვილ მშრომელებს ერგო, მათი ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებს.

რომ გავითვალისწინოთ ამ ფაქტის მთელი მნიშვნელობა უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, თუ რანაირი იყო მდგომარეობა აჭარაში, სანამ იქ დამკვიდრდებოდა ფუხარა ხალხის ძალაუფლება. უტყუარი სინამდვილეა, რომ მენშევიკების დროს აჭარაში პატრიარქალურ ფეოდალური ურთიერთობა არ იყო მოსპობილი. აჭარელი გლეხი თითქმის ბატონყმურ დამოკიდებულებაში იყო თავადთან—ბეგთან. არავითარ სოციალურ ცვლილებას, მიწის რეფორმას ადგილი არ ჰქონია აჭარაში მენშევიკების დროს. ადგილმამული ისევ ძველებურად ხელუხლებელი დაუტოვეს ბეგებს, და მშრომელი გლეხკაცობა მათ მიწებზე ღვრიდა ოფლს.

უფლებრივად და სულიერად აჭარელი ფუხარა, სავსებით დამონებული იყო ბეგის და აღის მიერ. ცხენით მიმავალი აჭარელი, როცა მას შეხვდებოდა ბეგი, უნდა ჩამოხტარიყო ცხენიდან და მოწიწებით ქედმოხრილი სალამით შეგებებოდა მას. გლეხკაცს არ შეეძლო მოკიდებოდა ოჯახს, თუ ამაზე ბეგი ნებას არ დართავდა. აგრე დაბეჩავებული იყო აჭარის გლეხკაცობა თავის ბატონების მიერ, და მთელი ეს, წარსული შავი დროიდან დარჩენილი სოციალური განწყობილება „სოციალისტ“ მენშევიკებმა სავსებით ხელუხლებლად დასტოვეს. მათ მშრომელი გლეხკაცობის ბედი კი არ აინტერესებდათ, არამედ ისინი ცდილობდნენ გავლინიან ბეგების გულის მოგებას, ეშინოდათ მათი უკმაყოფილების და ხელს არ ახლებდნენ მათ პრივილეგიებს, პირიქით, ეპატიჟებოდნენ „სარფიან“ და საპასუხი მგებლო თანამდებობებზე, რათა უფრო დაუფლებოდნენ ისედაც დამონებულ მშრომელ ხალხს და საშუალება ჰქონოდათ ეწოვათ მისი სისხლი.

ასეთი დამოკიდებულება აჭარის გაბატონებულ წრეების მიმართ მენშევიკებს ესაჭიროებოდათ ამ მხარეში „მაღალი“ ნაციონალური, ანუ უკეთ ნაციონალისტურ-შოვინისტურ პოლიტიკის გასატარებლად.

რასაკვირველია, საჭირო იყო აჭარის ხალხის დაკავშირება საქართველოსთან. მაგრამ ეს შეიძლებოდა აჭარის მშრომელ მასების სრული თვითგამორკვევის ცნობით, მათი სოციალური განთავისუფლებით საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად და მათი აქტიური ჩაბმით ცხოვრების აღმშენებლობაში ახალ საფუძველზე. ამის მაგივრად მენშევიკებმა წაართვეს აჭარის ფუხარა ხალხს თვითგამორკვევის ყოველგვარი უფლება, გაგზავნეს იქ მშრომელთა დასამორჩილებლად თავისი, ძალადობის და მათრახის მოტრფიალე ადმინისტრატორები, დაეყრდნენ ხალხის მოსისხლე მტრებს, და ამ გზით მოიწადინეს თავისი „ნაციონალური“ საქმის გაკეთება. უნდა ითქვას, რომ ამ ბრმა პოლიტიკოსებმა დიდად შეაფერხეს აჭარის ხალხის არა მარტო სოციალური განთავისუფლება, ფუხარა გლეხ-კაცობის ზურგიდან მებატონეთა უღლის მოშორება არამედ დიდი ზიანი მიაყენეს მშრომელი მასების სოლიდარობის საქმეს. მენშევიკებმა თავისი მოქმედებით აჭარაში ისე დასცეს ადგილობრივ მშრომლების თვალში საქართველო და მისი ხალხი, რომ აჭარლებს, რამდენიც გულწრფელად უახლოვდებოდნენ საქართველოს მშრომელ ხალხს ისე შეაძულეს ჩვენი ქვეყანა, რომ მათ პირი იბრუნეს და არაფერი საერთო არ უნდა ჰქონოდათ მასთან, სანამ მას სათავეში ედგომებოდნენ მენშევიკები, რომლების „საქმენი საგმირონი“ მათ თავიანთ ზურგზე გამოსცადეს.

ასეთი პოლიტიკის წყალობით მენშევიკებს თანდათან ეცლებოდათ ნიადაგი აჭარაში, მშრომელ ხალხის უკმაყოფილება მათ წინააღმდეგ და რევოლიუციონური მოძრაობა იზრდებოდა.

მენშევიკები თავის გადასარჩენად ჩვეულებრივ, ნაცად საშუალებებს მიმართავდნენ. ერთი მხრით რეპრესიები რევოლიუციონურ მასსების წინააღმდეგ, მეორე მხრივ მოსყიდვა და მიმხრობა ხალხის მტრების, ბეგების და ყველა ნაძირალების—ასეთი იყო მათი მეთოდი.

ცხადია, ასეთი გზით ხალხს აბოზოქრებული რევოლიუციონური ტალღის ჩაქრობა არ შეიძლებოდა. მშრომელი მასსა სულ უფრო ირაზმებოდა მენშევიკების წინააღმდეგ, იგი ბოლშევიკებს უჭერდა მხარს და საბჭოთა ძალა-უფლებისათვის იბრძოდა.

ვიცით ამ ბრძოლის შედეგი. მენშევიკური ძალა-უფლება დაემხო, მშრომელთა ხელისუფლება დამყარდა, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ახალი ხელისუფლების მიზანს შეადგენდა ძირიან-ფესვიანად მოსპობა იმ მძიმე, მახინჯი მემკვიდრეობის, რომელიც დარჩა მენშევიკების შემდეგ.

მუშურ-გლეხური მთავრობა დაუყონებლივ შეუდგა ფეოდალურ ნაშთების ლიკვიდაციას და ხალხის სრულ განთავისუფლებას ყოველ ჯურის მჩაგვრელებისაგან. ალაგმულ იქნა ბეგ აღების ფარფაში, მიწა ჩამოერთვა მათ და მშრომელ გლეხკაცობას გადაეცა სრულ სარგებლობაში. ბოლო მოეღო ნაციონალისტურ ვნებათაღელვას. აჭარის ხალხს მიენიჭა თვითგამორკვევის უფლება და ჩვენ ეხლა გვაქვს თავისუფალი ავტონომიური აჭარა, რომლის ხალხი მჭიდროთაა შეკავშირებული საქართველოს მუშებსა და გლეხებთან.

მთელს აჭარაში მოხდა ფუხარა ხალხის კომიტეტების არჩევნები. მაშინ კიდევ ისე ძლიერად იყო ხალხი დაბეჩავებული და დიდი ყოფილი მებატონეების გავლენა, რომ არჩევნებში აქა იქ „გაძვრნენ“ მათი აგენტები, რომელნიც შემდეგ ალაგმულ იქნენ. ეხლა უკვე ჩატარდა მეორე არჩევნები, რომლებშიაც არ ურევია ხალხის არც ერთი მტერი და ორგული.

ცხადია, მთელი ამ ხნის განმავლობაში, პირველი არჩევნების დროიდან, დიდი მუშაობა წარმოებდა, როგორც ხალხის კულტურულ პოლიტიკურ გათვითცნობიერების სფეროში, ისე მის სამეურნეო ცხოვრების ასაღორძინებლად. ხალხი განთავისუფლდა ექსპლოატატორების გავლენისაგან, იგი შეურყევლად დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია, რომელიც მას ხელმძღვანელობს, ჭეშმარიტი დამცველია მშრომელთა ინტერესების და ახლახან დასრულებულ არჩევნებში მას სრული ნდობა გამოუცხადა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ახლად არჩეული ფუხარა ხალხის კომიტეტები ამ იმედებს და ნდობას სავსებით გაამართლებენ და მთელ ძალღონეს მოახმარებენ ამ მშვენიერი კუთხის, აჭარის ასაყვავებლად და მისი მშრომელი ხალხის კეთილდღეობის შესაქმნელად.

გ. ქ.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა

ტფილისი, ფილიპე მახარაძეს.

(დეპეშა ბათუმიდან)

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის მუშაობა წარმატებით მიდის. დღეს ბათომის სანაპირო არტელის მუშები ერთხმად მიესალმენ გურიის მშრომელ ხალხის და მის აღმასკომის მიერ დაწყებულ დიად საქმეს, რკინის გზის გაყვანას და შესწირეს ერთი კვირის თავისი ნამუშევარი, რომელიც უდრის რამოდენიმე მილიარდს. ფული გთხოვთ გადასცეთ სახ. კომ. საბჭოს.

გურიის აღმასკომის რწმუნებული **ხარჯველაძე.**

არტელის მონდობილობით **კოპლატაძე.**

ესერების პროცესი

მოსკოვი. 7 ივნისი. მოსკოვის საბჭოს პლენუმში ესერების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. რადეკმა, რომელმაც აღნიშნა საზღვარგარეთულ პრესის არა ჩვეულებრივი განგაში პროცესის გამო. უცხოეთის პრესა აცხადებდა, რომ ესერებს გაასამართლებენ დახურულ კარებში და არ მისცემენ ნებას აიყვანონ დამცველები. საბჭოთა ხელისუფლებამ გააქარწყლა ეს ჭორები, დათმო რა ესერებს ნება იყოლიონ არა მარტო რუსის დამცველები, არამედ საზღვარგარეთის გასტროლიორებიც.

„საბჭოთა რუსეთის მოქალაქეთ ბელგიაში არ უშვებენ, ჩვენ კი აქ შემოუშვით ვანდერველდე. ესერები დღემდის აწარმოებენ ამფეთქებელ მუშაობას. მათმა დამცველებმა ვანდერველდემ და კომპანიამ ჩაშალეს საერთაშორისო პროლეტარული შეთანხმება და ხელი შეუშალეს მუშათა საერთაშორისო ყრილობას. როგორი მსჯავრიც არ უნდა იქნეს გამოტანილი, ცალკე ესერების მიმართ, ესერების პარტია უნდა მოისპოს“.

მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სასტიკ სასჯელს ესერების პარტიის ამ მშრომელთა მოსისხლე მტრების მიმართ.

— ესერების პროცესისათვის გამოწვეულია 61 მოწმე. შუამდგომლობათა უმრავლესობა ესერების საქმის მასალების გასაცნობად დაკმაყოფილებულია რევოლიოციონურ ტრიბუნალის მიერ.

— კომინტერნის მიერ ანატოლ ფრანს პარიზში გაეგზავნა მოპატიჟების ბარათი ესერების პროცესზე დასასწრებლად. მოპატიჟების ბარათში სხვათა შორის ნათქვამია: „საბჭოთა მთავრობა მოხარული იქნება გნახოსთ თქვენ მოსკოვში. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, რომელიც მოსკოვში იმყოფებიან, აგრეთვე დაბეჯითებით გთხოვენ თქვენ დაესწროთ პროცესს“. ეს მიმართვა ხელმოწერილია ზინოვიევისა და ფროკერის მიერ.

— საბჭოთა ფედერაციის ყოველ კუთხიდან მოდის მშრომელთა რეზოლიუციები, რომელშიაც მოითხოვენ ესერების სასტიკ დასჯას და გამოთქმულია მძულვარება მათ დამცველებისადმი. ამგვარი რეზოლიუციები მიღებულია: ცარიცინის, როსტოვის და ნახიჩევანის რკინისგზელთა და სტამბის მუშებისაგან და აგრეთვე ივანოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავეთა მიერ. მირგოროდის მაზრის 17 გლეხთა ყრილობა წინადადებას აძლევს 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, რომელნიც იცავენ ესერებს, ინახულონ მირგოროდის მაზრა, სადაც 100 000 გლეხი დაამტკიცებს ესერების სიმხეცის გლეხების მიმართ. მაზრაში თავიანთი ბატონობის დროს; ესერები გლეხებს სწვავდნენ ცოცხლად, ხარშავდნენ მდუღარეში და მარხავდნენ ცოცხლად მიწაში.

— სამარაში შესდგა მუშათა, წითელ არმიელთა და სამარის ყველა მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია—დემონსტრაცია იმ ცოცხალ მოწმეებისა, რომელთაც თვალით აქვთ ნახული ესერების სიმხეცე სამარის „უჩრედილკის“ დღეებში. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 15,000 კაცი. პროცესია გაიმართა 2 ვერსის მანძილზე. თვალს ხვდებოდა ბევრი პლაკატები წარწერით: „სიკვდილი გამყიდველ ესერებს“, „ძირს ბურჟუაზიის ლაქია—ვანდერველდე“. დემონსტრაციები ესერების წინააღმდეგ შესდგა აგრეთვე სამარის გუბერნიის ბევრ ქალაქებში.

ხარკოვი. 7 ივნისი, (რადიო) უკრაინის სხვა და სხვა ადგილებიდგან მოდის ცნობები მუშების და წითელ არმიელების ესერების პროცესთან დამოკიდებულების შესახებ. კიევის სამხედრო საინჟინერო დისტანციის კურსანტები—წითელ-არმიელები აცხადებენ, რომ ესერების პარტიამ ხელი შეუშალა პროლეტარიატის ძლევა მოსილ რევოლიუციის მსვლელობას და უღალატა მშრომელთა საქმეს, ამიტომ ის არ არის ღირსი რაიმე შებრალების.

ანალოგიური რეზოლიუციები გამოიტანა კიევში მთელ რიგ დაწესებულებების მუშებმა.

— სამხედრო მეზღვაურების და ოდესის საზღვაო ბაზის თანამშრომლების საერთო კრება ზიზღით ჰკიცხავს მშრომელთა მასსების გამყიდველ ესერებს. ოდესის ფაბრიკა-ქარხნების მუშები პროტესტს აცხადებენ ესერების დამცველებად მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების დაშვების წინააღმდეგ, რომლებიც თვითონ უნდა ისხდნენ ბრალდებულების სკამზე.

— ვინნიცკის პროლეტარიატის მიერ გამართულ მრავალ რიცხოვან მიტინგებზე და კრებებზე გამოტანილია რეზოლიუციები, რომლითაც მოითხოვენ მკაცრ სასჯელს რევოლიუციის მოღალატეების წინააღმდეგ.

პროლეტარულ „პრავდაში“ (კიევი) დაბეჭდილია კიევის მუშების წერილები, რომლებშიდაც გამოაშკარავებულია ესერების მოღვაწეობა 1917—1918 წლამდე.

წერილების ავტორები იტყობინებიან მუშების მოღვაწეების დახვრეტის, და ბრესტ ლიტოვსკში და გერმანიის სხვა და სხვა კონცენტრაციონურ ბანაკში მუშების გადასახლების და ესერების მთელ რიგ სხვა დანაშაულობების შესახებ გერმანის და ავსტრიელების უკრაინაში ყოფნის დროს. მუშები მოითხოვენ ვანდერველდეს გაძევებას საბჭოთა ფედერაციის საზღვრებიდგან, როგორც მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელს, რომელმაც ჩაშალა მთლიანი მუშური ფრონტი.

სრულიად უკრაინის ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა ესერ პაშუტინსკის, რომელსაც უმაღლესმა ტრიბუნალმა მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი-დახვრეტა, შეცვლილ იქნა დახვრეტა ხუთი წლის საზოგადო-იძულებითი სამუშაოთი.

* * *

რადიო-დეპეშები

ჰააგის თათბირის შესახებ

საფრანგეთის პოზიცია.

ბორდო, 6 ივნისი (რადიო). ჰავასის სააგენტო იტყობინება: საფრანგეთის, ჰააგის თათბირში მონაწილეობის საკითხი, ამ ახლო მომავალში იქნება გადაწყვეტილი სიმართლეთან უფრო ახლოა ის, რომ საფრანგეთის ეკონომიური ექსპერტები ახლო მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირეთა და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ექსპერტების მუშაობაში, მოსამზადებელ პერიოდის განმავლობაში, სახელდობრ 15 ივნისიდან 25 ივნისამდე. ამ მოსამზადებელ მუშაობაში რუსეთის დელეგატები მონაწილეობას არ მიიღებენ. შესაძლებელია, რომ ამ წინასწარ სხდომაზე შემუშავებულ იქნება მემორანდუმი რუსეთის ექსპერტებისათვის გადასაცემად. თუ რუსეთი არ მიიღებს ამ მემორანდუმს, მაშინ საფრანგეთი უკან გაიწვევს თავის ექსპერტებს, რადგანაც მას მოკავშირეთა მემორანდუმის პირობების მიღება სავალდებულოთ მიაჩნია.

მოსამზადებელი მუშაობა.

პარიზი. 24 მაისი. ამსტერდამიდან მიღებული ცნობების თანახმად ჰოლანდიის მთავრობამ დაადგინა არ მიიღოს თავის თავზე ხარჯები ჰააგის თათბირის მოსაწყობად და უცხოელ დელეგატების შესანახად. ჰააგაში მოწვევის ბარათებს დააგზავნის გენუის კონფერენციის თავმჯდომარე ჰოლანდიის მთავრობასთან ერთად. ექსპერტების მუშაობა იწარმოებს „მშვიდობიანობის პალატაში“. ზომებია მიღებული იმისათვის, რომ ექსპერტების მუშაობის დროს ადგილი არ ექნეს სპეკულიაციას. სასტუმროებს არა აქვთ უფლება ასწიონ ოთახების ფასები. ჰოლანდიის მთავრობამ ყოველგვარი ზომა მიიღო იმისათვის, რომ კომისიის წევრები, მათი თანამშრომლები და პრესის წარმომადგენლები დაიცვას ექსპლოატაციისაგან.

სამზადისის პერიოდი.

ბრიუსელი, 25 მაისი. ბელგიის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი ჟასპარი აცხადებს: ჰააგაში, ჯერ კიდევ 15 ივნისისათვის, თავი უნდა მოეყაროს მოკავშირე სახელმწიფოებისა და მცირე ანტანტის ექსპერტებმა. შესაძლებელია, რომ ამ დროისათვის ჩამოვლენ ნეიტრალური სახელმწიფოების ექსპერტებიც. 15 ნ 25—ივნისამდე გაიმართება რამოდენიმე წინასწარი სხდომა, რათა შესაძლებელი იქნეს საერთო თვალსაზრისის შემუშავება. ჟასპარმა აღნიშნა, რომ ბელგია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას ჰააგის თათბირის ოფიციალურ სხდომებში, თუ ბელგიის თვალსაზრისი მიღებული იქნება, როგორც ძირითადი საფუძველი მოლაპარაკების წარმოებისათვის. თავის ბაას ჟურნალისტებთან ჟასპარი ათავებს შემდეგი სიტყვებით: ყველა სახელმწიფოებმა გაიზიარეს ბელგიის თვალსაზრისი. შეუძლებელია, მაგალითად, იმის დაშვება, რომ ბელგიის კუთვნილი ქონება გადაეცეს ან მიეკუთვნოს იმას, ვისაც მასზე არავითარი უფლება არა აქვს.

გენუის კონფერენციის შედეგები

ბერლინი, 25 მაისი. გაზეთი „ნაკანუნე“ ეხება გენუის კონფერენციის შედეგებს და სხვათა შორის სწერს: პოლიტიკაში შედეგი—უკანა მხარეა მომავალი პერსპექტივებისა. მაშასადამე გენუის კონფერენციის პატარა შედეგებიც თვალწინ გვიხსნიან არა სასიამოვნო პერსპექტივებსაც. ჯერ კიდევ მრავალი ძალ-ღონე უნდა დახარჯოს ყველა სახელმწიფოებმა, რომ ისინი გამოვიდენ ამ მძიმე მდგომარეობიდან, ტყუილ-უბრალო ყოყმანიდან, უსიტყვოთ ერთი ადგილის ტკეპნიდან, დალარიბებიდან, სიმშილიდან და გაპარტახებიდან. ყველა სახელმწიფოებიდან ყველაზე უფრო მძიმე განცდანი თავს დაატყდა რუსის ხალხს. ისტორიის ბედის დავალებით იგი ხელს კიდებს არა მარტო თავისი კეთილდღეობის მოწყობას, არამედ სამართლიანობის იდეის მთელ ქვეყნიერებაზე გამარჯვებასაც. რუსის ხალხის სიმართლე ჯერაც არ შეუგნიათ დანარჩენ ქვეყნებს და ამიტომაც მას კვლავ ისე ებრძვიან, როგორც საშიშარ ბუნტოვშჩიკს. მაგრამ ჩვენა გვწამს, რომ დადგება ისეთი დღე, როდესაც ის სიმართლე, რომლისთვისაც დღეს იბრძვის რუსეთი,—გახდება მთელი კაცობრიობის სიმართლეთ. როგორც ყველასათვის, ისე რუსეთისათვისაც გენუა იყო მხოლოდ ერთი ხანა. და თუ იგი იყო ერთ უკანასკნელ ხანად ამ სიმართლის გამარჯვების გზაზე, მაშინ ისტორია მადლობით მოიხსენებს გენუას. გაზეთი შემდეგ სწერს: უკანასკნელი ჩვენი სიტყვა გენუის შესახებ, არ არის საყვედურის სიტყვა. მართალია, მან ვერ გააკეთა ყოველივე ის, რაც საჭირო იყო, მაგრამ მან მრავალ რამეს მაინც მიაღწია. მან ყოველ შემთხვევაში ის მაინც გამოარკვია თუ ვინ არის საერთაშორისო მშვიდობიანობის მტერი და ვინ მისი მეგობარი. მან რევოლიუციონური რუსეთი შეიყვანა საერთაშორისო ურთიერთობაში. იქ დაიბადა რაპალოს ხელშეკრულება. გენუამ დაუახლოვა ერთმანეთს რუსეთი და ინგლისი, იტალია და ზოგიერთი სლავიანური სახელმწიფონი. და რაც უმთავრესია—ეს ისა რომ, გენუის შემდეგ, აღარ იქნება ვერსალი. მისი მეთოდები გაკიცხულია. მის სამაგიეროდ ისტორია გვიკარნახებს სამშვიდობო შეთანხმების, ურთიერთ დათმობის და საერთაშორისო თანამშრომლობის მეთოდებს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ლონდონის სულიერი განწყობილებანი.

ლონდონი, 21 მაისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: პროფესორმა მურეიმ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა პასუხისმგებელია იმ მძიმე მდგომარეობაში, რომელსაც ამ ჟამად ინგლისი განიცდის. ყოველი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ნიმუშათ ჩაითვლება ის, თუ მას რამდენი მეგობარი ყავს. და ვინ არის დღეს ინგლისის მეგობარი ახლო აღმოსავლეთში: ბერძნები შეურაცყოფილნი არიან, ოსმალები ყველაზე უფრო სასტიკი მტრებია ინგლისის პრემიერის პსიხოლოგია გაუგებარია. მის პოლიტიკას საფრანგეთის მიმართ შეუძლია ორგვარ კატასტროფამდის მიგვიყვანოს. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთს შეუძლია ჩაითრიოს ინგლისი დამღუპველ პოლიტიკაში, მეორეს კი შეუძლია წარმოშვას საფრანგეთთან განხეთქილება. ლლოიდ ჯორჯი ძალიან დაუხლოვდა ორივე ამ შესაძლებლობათ. დასასრულ მურეიმ განაცხადა, რომ მას ლორდ გრეისთან ერთად აუცილებლად მიაჩნია ინგლის-საფრანგეთის კავშირის განმტკიცება და ვერსალის ხელშეკრულების ერთგვარად შეცვლა.

ლონდონი 23 მაისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: ჩემბერლენი გამოდის ინგლის-საფრანგეთის კავშირის დამცველად, რომელსაც ძირითადი მნიშვნელობა ექნება მშვიდობიანობის პროგრესისათვის და მსოფლიო მშვიდობიანობის აღდგენისათვის. გაზეთი „მორნინგ პოსტი“—წერილში, რომელსაც საყურადღებო სათაური აქვს, „უკან, ანტანტისაკენ“ აღნიშნავს, რომ ინგლისი ალბად სრულებითაც არ ფიქრობს უარი სთქვას საფრანგეთზე გერმანიის სასარგებლოდ.

შეიდემანზე თავდასხმის შესახებ.

ბერლინი. 7 ივნისი (რადიო). პრესაში მოყვანილია ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები შეიდემანზე თავდასხმის შესახებ. თავდასხმა მოხდა ქ. კასელში—ქუჩაზე: ვიღაც უცნობი მივიდა შეიდემანთან და შეასხა მას კარბოლის ხსნილი. შეიდემანმა იძრო რევოლვერი და ესროლა უცნობს ორჯერ, მაგრამ უშედეგოთ. უცნობმა მოასწრო დამალვა. მთელ გერმანულ პრესას, გამოუკლებლივ, ასეთი თავდასხმა უაზრობათ მიაჩნია.

ირლანდიაში.

ნაუენი. 7 ივნისი (რადიო). ბელფასტში ჩავიდა 20 ინგლისური ბატალიონი არტილერიით. **ინგლისელებსა და სინფეინერებს შორის მოხდა რამოდენიმე სერიოზული შე-**

ტაკება. ირლანდიაში გაიგზავნა საომარი იარაღებით დატვირთული გემები.

რომი 6 ივნისი (რადიო). დონეგალის მახლობლად ინგლისის ჯარებსა და ირლანდიელებს შორის მოხდა სერიოზული შეტაკება. ამოძრავებულ იქნა არტილერია. მრავალია მოკლული.

შორეულ აღმოსავლეთში.

რომი. 6 ივნისი (რადიო). იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ამ ახლო მომავალში შეუდგება ხანკოუს ევაკუაციას.

ბორდო. 6 ივნისი (რადიო). ჩრდილო ჩინეთის სამხედრო დირექტორმა ვუ პეი-ფუმ მიიწვია ყოფილი პრეზიდენტი ლი-ხუნ-დანგა ჩინეთის ჩრდილო პროვინციაში, რათა კვლავ დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა და მართოს ჩინეთი ისევ, როგორც 1917 წლამდე.

ბორდო. 7 მაისი (რადიო). იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში გონკონგიდან გაყვანილი იქნებიან იაპონიის ჯარები, თანახმად ვაშინგტონის დადგენილებისა.

პარიზი. 7 ივნისი (რადიო). ვლადივასტოკში ნაციონალურმა ყრილობამ დროებით მიიღო თავის თავზე ხელისუფლება. ქალაქში წესიერებას იცავს გენერალ კაპპელის ჯარი. მერკულოვი დაპატიმრებულია და მას სასტიკ თვალყურს ადევნებენ მეზღვაურები.

ზღვის სანაპირო რაიონში.

ბორდო. 7 ივნისი (რადიო). ვლადივასტოკში ზღვის სანაპირო რაიონის უფროსად დანიშნულია გენერალი დიტრიხი. მის ჩამოსვლამდე მისი თანამდებობის აღსრულება დაევალა გენერალ მოლჩანოვს.

ამერიკის ჯარის რიცხვი.

ბორდო. 7 ივნისი (რადიო). ჩრდილო ამერიკის სენატმა 49 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 21 ხმისა განსაზღვრა შეერთებული შტატების ჯარის რიცხვი მშვიდობიან დროისთვის 133000 კაცით. წარმომადგენელთა პალატის დადგენილებასთან შედარებით სენატმა გაადიდა ჯარის რიცხვი 18000 კაცით.

მუშათა ფრონტზე.

პარიზი. 7 ივნისი (რადიო). გაზეთი „ფორვერტსი“ იტყობინება: სატრანსპორტო საქმის მუშებმა გამბურგში შაბათს გაფიცვა გამოაცხადეს. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას.

ბორდო. 7 ივნისი (რადიო). ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად მექანიკური ამქრის მუშებმა დაადგინეს განაახლონ მუშაობა, რადგანაც მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ იქნა.

ბორდო. 7 ივნისი (რადიო). გაზეთ „მატენის“ ცნობით უმაღლესმა სამსჯავრომ ვაშინგტონში გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალითაც პროფესიონალური კავშირები პასუხისმგებელნი არიან იმ ზარალის ანაზღაურებაში, რომელიც მიყენებული ექნება ამა თუ იმ წარმოებას მისი მუშების გაფიცვით.

საერთაშორისო ვაჭრობა.

ბერლინი. 7 ივნისი (რადიო). პარიზში შაბათს გაიმართა მესამე პლენარული სხდომა საერთაშორისო სავაჭრო კონფერენციისა. ირჩეოდა საკითხი საერთაშორისო ნორმალი ვაჭრობის აღდგენის საშუალებათა შესახებ. ვრცელი სიტყვა ამ საკითხის შესახებ წარმოსთქვეს რუმინიის, ჩეხო-სლოვაკიის და საბერძნეთის წარმომადგენლებმა.

ამერიკის ჯარები ევროპაში.

ბორდო. 7 ივნისი (რადიო). გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით ვაშინგტონიდან გაცემულია განკარგულება დასტოვონ კოშლენცის რაიონში ამერიკის მნიშვნელოვანი რაზმი 1200 კაცის შემადგენლობით.

საერთაშორისო ფინანსები.

პარიზი, 7 ივნისი (რადიო). გაზეთი „პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის პრესა ვრცელ წერილებს ბეჭდავს საერთაშორისო ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით დეტალურად ეხებიან მოკავშირეთა ვალების, კონტრიბუციისა და ბანკირების კონფერენციის შედეგების საკითხებს. ფრანგული გაზეთი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის პრესას სურს გაიგოს საფრანგეთის თვალსაზრისი, მაგრამ მას იგი პესიმისტურად უყურებს. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ აზრით დღევანდელ მომენტის უმთავრესი საკითხია გერმანიისათვის საფინანსო დახმარების აღმოჩენა: ამიტომ საჭიროა საჩქაროდ იქნეს გამორკვეული ის, თუ რა გარანტიებს მოითხოვენ გერმანიისაგან. გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“ იცავს საფრანგეთის თვალსაზრისს, გერმანიაზე დაკისრებულ საკონტრიბუციო გადახდების შემცირების არა სასურველობის შესახებ. საფრანგეთის გავერანებული და გაპარტახებული ადგილები, ყოველგვარ სიტყვების დამტკიცების გარეშე ცხადად გვაგებინებენ იმ პოზიციას, რომელიც საფრანგეთმა დაიკავა.

რუსეთის საელჩო ამერიკაში.

რომი. 7 ივნისი (რადიო). ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა ბახმეტიევს, რომ ამერიკის მთავრობას ის აღარ მიაჩნია რუსეთის ელჩად და რუსეთის წარმომადგენლად ამერიკაში. 5 ივნისს ნიუიორკში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი.

ბერლინი. ფინლიანდიაში ვენოლის მთავრობა გადადგა იმ მიზეზით, რომ სეიმის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო დაემტკიცებია ცნობილი ვარშავის კონვენცია, რომელსაც ხელს აწერდნენ პოლონეთი, ფინლიანდია, ესტონია და ლატვია. სეიმის სხდომის გახსნამდის დიდი ცხარე კამათი სწარმოებდა სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში. კომისიამ სცნო, რომ ეს კონვენცია წარმოადგენს სერიოზულ მუქარას ფინლიანდიის რესპუბლიკის საარსებო ინტერესებისათვის. კომისიამ აღნიშნა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა ხოლსტიმ ვარშავაში გადააჭარბა თავის უფლებებს. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ გადადგა მთავრობა, რომელიც არსებობდა თითქმის სამი წლის განმავლობაში და რომელსაც მხარს უჭერდა სეიმის დიდი უმრავლესობა.

გაზეთი „ნაკანუნე“ შემდეგნაირად ახასიათებს ფინლიანდიაში მომხდარ მთავრობის კრიზისს: ფინლიანდიის საზოგადოებრივმა წრეებმა გაიგეს, რომ ვარშავის კონფერენციის მახვილი მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ.

ეს კონფერენცია პოტენციალურად წარმოადგენს დიდ საშიშროებას ახალგაზრდა ფინლიანდიის რესპუბლიკისათვის, რადგანაც პილსუდსკის „სიურპრიზების“ პოლიტიკაში ყოველთვის ჩამარხულია ხოლმე ჩანასახი რუსეთთან შეიარაღებული შეტაკებისა. უეჭველია, რომ ფინლიანდიის გარეშე საქმეთა მინისტრი ხოლსტი დაემორჩილა პარიზის გავლენას, რითაც თავის ქვეყანა გადაჩეხა ისეთ გზაზე, რომელსაც ძალიან სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. **სეიმმა ვარშავის კონვენციის დამტკიცების უარყოფით დაგვანახა ის, რომ ფინლიანდიის ერის დიდ უმრავლესობას სურს განაგრძოს რუსეთთან მშვიდობიანი ცხოვრება და ისარგებლოს ამ ზავის ყველა შედეგებით, თავისი ეკონომიური აღორძინებისათვის, ომისა და რევოლიუციის მძიმე წლების შემდეგ.**

პროფესორ ნ. ნ. ლიუბიმოვის აზრი გენუის შესახებ

გენუიდან მოსკოვში დაბრუნებისას 28-მაისს პროფესორმა ნ. ნ. ლიუბიმოვმა ჩვენ თანამშრომელს, საუბრის დროს, გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი გენუის კონფერენციის და ჰააგაში ექსპერტთა კომისიის მომავალ მუშაობის პერსპექტივების შესახებ.

გენუის კონფერენციის შედეგების მეტად გავრცელებულ პესიმისტურ შეფასებათა წინააღმდეგ, სთქვა პროფ. ლიუბიმოვმა, მე ვეკუთვნი იმ პირთა რიცხვს, რომელნიც გენუის კონფერენციის მუშაობის შეფასებაში განწყობილნი არიან ოპტიმისტურად, და გენუაში მიღწეულ შედეგებს ვსთვლი მეტად მნიშვნელოვანათ.

ხელშეკრულება თავდასხმისაგან თავის შეკავების შესახებ, რომლის ვადა განსაზღვრულია რვა თვით, წარმოადგენს საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან მონაპოვარს გენუაში.

გერმანიასთან ხელშეკრულების დადების ადგილის და დროის შერჩევა სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს: უკვე ამ მომენტისათვის ინგლის-იტალიისა და საფრანგეთ-ბელგიის მსოფლმხედველობათა შორის განსხვავება სავსებით და თვალსაჩინოთ გამოირკვა და გერმანიასთან დადებულმა პოლიტიკურმა შეთანხმებამ კიდევ მეტად გაუსვა ხაზი ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობას რუსეთის პრობლემის გადაჭრის საკითხში. თავდასხმისაგან თავის შეკავებისა ხელშეკრულებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობის შედეგი: დაშლა თეთრ არმიათა, რომელთაც თავი შეაფარეს ბალკანეთის ქვეყნებს, შეიძლება აღინიშნოს ამ მხრივ გარდატეხა არა მარტო ბულგარეთში არამედ სამხრეთ-სლავიაშიც.

ზედმეტია ლაპარაკი მაღალ მორალურ პრესტიჟზე, რომელიც მოიპოვა საბჭოთა რუსეთმა გენუაში.

თავის საუბარში პროფ. ნ. ნ. ლიუბიმოვმა ვრცლად შეეხო საფინანსო კომისიისა და მის სამ ქვეკომისიების მუშაობის შედეგებს: ფულის ტრიალის, საინტერვენციო კურსის აღდგენისა და სესხის შესახებ.

„იზვესტია“.

ქრონიკა

პოლიტიკური ინსტიტუტი. თბილისის ინსტიტუტში, რომელიც გადაკეთებულია საერთო საოლქო უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებათ, საინჟინერო ფაკულტეტზე, დაჩქარებული გამოშვების გამო, შემოღებულია მეცნიერების შესწავლის 3 წლიანი კურსი, თვითეულ აკადემიური წლის 3 სემესტრად დაყოფით. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტ., ამასთანავე შემოდგომის სემესტრი გაგრძელდება 15 დეკემბრამდი. 15 დეკემბრიდან 20 იანვრამდე მოხდება გამოცდები. 20 იანვრიდან 1 მაისამდე იწყება მეორე სემესტრი. მაისში გამოცდები. 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე საზაფხულო სემესტრი. 1 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე არდადეგები. სწავლის სრული კურს დამთავრებულები ერთი წლის განმავლობაში მეცადინეობენ პრაქტიკულ სამუშაოზე, რის დამთავრების შემდეგ ბრუნდებიან ინსტიტუტში, სადაც 6 თვის განმავლობაში ამუშავებენ მათ მიერ ამორჩეულ თემას და შემდეგ არჩეულ თემაზე კურს დამთავრებული შედგენილ პროექტს იცავს და გამოცდის ჩაბარების მიხედვით თუ წარჩინებულად დაიცვა იღებს ინჟინერის წოდებას. პირველი ივნისიდან დაიწყო ზაფხულის სემესტრი.

◆ **ცენტრალურ დამზღვევ კასაში ექიმების მოღვაწეობა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უბნის ექიმებმა ინახულეს 6072 ავადმყოფი. რიცხვი 2437 ავადმყოფთა გასინჯვისა ხვდება მარტს. სპეციალისტ ექიმების მიერ მიღებულ იყო 6134 ავადმყოფი. სულ ავადმყოფთა ნახვა და მიღება უდრის 12,206 ს.

◆ **დაჯარიმება 20 მილიონი მანეთით.** შრომის კანონის დარღვევისათვის სასტუმრო ცენტრალის (ტოლოლაკის ქ.) მეპატრონე შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით დაჯარიმებულია 20 მილიონი მან.

◆ **სახელმძღვანელოების გამოცემა.** სახალხო განათლების კომისარიატი იღებს ზომებს მომავალ წლისთვის იმ ახალ სახელმძღვანელოების დასაბეჭდად, რომელიც განიხილა და მოიწონა მთავარმა სამეცნიერო საბჭომ და აგრეთვე იმ სახელმძღვანელოების ხელახლა გამოსაცემად, რომელიც უკვე იყო ხმარებაში.

დუშეთის მაზრის გლეხკაცობის აჯანყების ოთხი წლის თავის აღსანიშნავად

დუშეთის მაზრის 1918 წ. 13 ივნისის აჯანყების ოთხი წლის თავის აღსანიშნავათ და აჯანყებაში დახოცილთა მოსაგონათ, დუშეთის მაზრის პარტკომს და მაზრაღმასკომს გადაწყვეტილი აქვთ ამა წლის 13 ივნისს მთელ მაზრაში მოაწყოს დღესასწაული, რის ჩასატარებლათაც არჩეულია კომისია. დღიური წესრიგი დღესასწაულის არის შემდეგი: 1) ამ დღეს, 13 ივნისს; უნდა ჩაიყაროს საძირკველი ძეგლების,—შემდეგ ალაგას: ა) ძმათა სასაფლაოზე, ბ) სოფ. წილკანთან, სადაც 1918 წ. 13 ივნისს, პირველათ დაიღვარა სისხლი და ავარდა აჯანყების ალი; გ) ნარეკვავზე, იქ, სადაც პატარა მდინარე ჩადის და ხიდია სამხედრო გზისთვის; ამ ალაგას იყო გადამწყვეტი ბრძოლა 1918 წ. 19 ივნისს აჯანყებულ გლეხებისა და თეთრ გვარდიელების შორის. 2) სოფ. მჭადის ჯვარში გაიხსნება კლუბი,—თეატრი, სამკითხველო და სასეირნო ბაღი; ქ. დუშეთში ჩაეყრება საძირკველი თეატრს; იქნება მიტინგები, ჯარის აღლუმი და საღამოზე კონცერტ წარმოდგენები მთელს მაზრაში.

ყოველივე ამას გარდა, დღესასწაულის მომწყობ კომისიას გადაწყვეტილი აქვს ამ ისტორიულ დღის აღსანიშნავათ და მოსაგონად გაზეთ „კომუნისტში“ დაეთმოს ფართე ადგილი იმ წერილებს, რომლებიც შეეხებიან დუშეთის მაზრის აჯანყებას და მის მნიშვნელობას. ამისთვის კომისია სთხოვს იმ ამხანაგებს, კერძოთ კი ფ. მახარაძეს, 2) სერ. ქართარაძეს, 3) ლადო დუმბაძეს, 4) ბიქტორ ცინცაძეს, 5) ალექსანდრე გეგეჭკორს, 6) ნოე ლეჟავას, 7) გიორგი ჩხეიძეს, 8) ბიქტორ სიხარულიძეს, 9) ბენედიქტე კალანდაძეს, 10) და ყველა იმ ამხანაგებს, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ამ აჯანყებასთან თავიანთი შთაბეჭდილება და მოგონებანი უძღვნან წერილობით აჯანყების ოთხი წლის შესრულების თავს. კომისიას იმედი აქვს, ზემო ჩამოთვლილი ამხ. არ დაიზარებენ და მთელი ქვეყნის გასაგონათ უძღვნიან წერილებს და მოგონებებს გლეხთა ამ დიად აჯანყებას. დუშეთის მაზრა წინ და წინ მადლობას მიუძღვნის ყველა მათ, ვინც ხელს შეუწყობს ამ დღესასწაულის კარგათ ჩატარებას. და ეს დღესასწაული კი ერთი ათად გაამაგრებს და გააძლიერებს, როგორც საბჭოთა მთავრობას ისე კომპარტიის სიმპატიას მთელს მაზრაში.

დუშეთის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე, და დღესასწაულის მომწყობ კომისიის წევრი: **გ. ლაფანაშვილი.**

სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის მეორე ლეგალური ყრილობა

7 ივნისს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მოხსენება ამხ. დევდარიანის ცეკას მოღვაწეობის შესახებ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მოხსენება სარევიზიო კომისიისა. მოხსენებაზე კამათი და საბოლოო სიტყვა გაგრძელდა საღამოს სხდომაზე.

8 ივნისს დილის სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია ცეკას მოღვაწეობის შესახებ:

„მოისმინა რა ამხ. დევდარიანისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში, ყრილობა აღნიშნავს ალაგ—ალაგ ხელმძღვანელობის სისუსტეს ცენტრალურ კომიტეტის მოქმედების პირველ პერიოდში, ხელმძღვანელ საკავშირო ორგანოებთან და აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის მოუწესრიგებლობას, მუშაკთა მიზანშეუწონილ გადაჯგუფების შემთხვევებს, საკავშირო პრესისა და გამომცემლობისადმი და აგრეთვე უპარტიო მუშათა ახალგაზრდების ფართო წრეებში მუშაობისადმი სუსტ ყურადღებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა მათზე მტკიცე ზეგავლენის უქონლობა. ყრილობა აღნიშნავს მუშაობის ნაკლულოვანებას მუშათა ახალგაზრდათა შრომის ყოფა-ცხოვრებისა და განათლების სფეროში, რაც აიხსნება ა) მუშაკთა სიმცირით ბ) იმით, რომ ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო მთავარი ყურადღება მიექცია საორგანიზაციო მუშაობისათვის და გ) პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოების მხრივ დახმარების უქონლობით. მაგრამ, იღებს რა მხედველობაში ცენტრალურ კომიტეტის მუშაობისათვის განსაკუთრებულ მძიმე პირობებს, როგორც მაგ. საჭირო აქტი-

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია*)

სხდომა მეორე

სასახლე 1922 წ. აპრილის 15.

მიწათ-მოწყობის შესახებ

მომხსენებელი. კითხულობს მე-11 მუხლს. „მიწით სარგებლობის ფორმა—იქნება ის კომლეული, საარტელო, საამხანაგო, კომუნალური, თუ თემური—თავისუფალია.

შენიშვნა: თემური მიწით სარგებლობის მონაწილეთ ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს თემურ წესისაგან და მიიღოს ხვედრი მიწის ნორმა ცალკე (მუხლი კამათს არ იწვევს და მიღებულია უცვლელად).

მომხსენებელი. (კითხულობს მე-12 მუხლს) „მიწათმოწყობის მუშაობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (პერედელი) დაუშვებელია“.

თავმჯდომარე. ხომ არ არის რაიმე შესწორება.

ხაბაშვილი. ეს მე მგონია არ არის დასაშვები. ვთქვათ ჩვენ გადავწყვიტეთ, მაგრამ, თუ რომელიმე რაიონის გლეხობის უმრავლესობამ არ დაეთანხმა ამას, მათ უნდა ქონდეთ უფლება აღძრან შუამდგომლობა. ამ მუხლის ძალით კი ეს უფლება არ ეძლევათ. ამისათვის მე მგონია ეს მუხლი უნდა შესწორდეს.

გეგეჭკორი. ასეთი შემთხვევა, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ისეთი წესის შემოღება, რომ უკმაყოფილოთა ჯგუფი შეიკრიბება და გამოაცხადებს, რომ არ მოსწონს მიწის გაწესრიგება და ხელახლა უნდა შეუდგენ ამ საქმეს ეს შეიტანს საქმეში არევ-დარევას, დაუმთავრებლობას, რომელიც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ ჩემი წინადადებაა ეს მუხლი დარჩეს უცვლელად.

თავმჯდომარე. ჩემის აზრით, ამ კანონს უნდა მივცეთ მტკიცე ხასიათი, თორემ მიწის გაწესრიგების საქმეში რყევამ აჩვენა რუსეთში მთელი თავისი უხერხულობა, რომელმაც გამოიწვია იქ დიდი არევ დარევა, დიდი ანარქია და თუ ამ გადაჯგუფების მიზეზი არ იქნება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი—ის სრულებით უაზროა.

თავმჯდომარე. წინადადებაა შეწყდეს კამათი. ვინ არის მომხრე, რომ მუხლი დარჩეს უცვლელად?

ლისოვსკი. მე მომხრე ვარ ამ შესწორების, ხოლო იმ შემთხვევაში რომ გადაჯგუფება დაშვებული იყოს მიწათმოქმედების კომისარიატის საგანგებო ნებართვით.

თოდრია. მე თანახმა ვარ ამხ ლისოვსკის. ეხლა ამხ. ქავთარაძემ თქვა, თუ დავრჩი უსამსახუროთ, როგორ მომექცევითო, მომცემთ თუ არა ჩემს ულუფასო. ვთქვათ ერთ რაიონში ბევრი დარჩა ასეთი შემთხვევა. საიდან ავიღოთ იმდენი მიწა, რომ ყველას ნახევარი ნორმა მიემატოს. იმათ კი უნდა მივცეთ სადაც ქონდათ. აქვთ უფლება ეს მოითხოვონ? მაშინ უნდა მოხდეს გადაჯგუფება.

ს. გეგეჭკორი. მართალია, რუსეთში კი არის ეს დაშვებული, მაგრამ რუსეთის მიწათმფლობელობა და ჩვენი სულ სხვა არის. რუსეთში შვიდი სხვა და სხვა სახეა მიწათმფლობელობის. და იქ ისეთი დიდი საქმეები არის, რომ ასეთი მცირე საკითხისათვის, თავის თავად ცხადია, საკანონმდებლო ორგანო ვერ შეიკრიბება. აქ კი ასეთი შემთხვევისათვის შეიძლება თავი მოვუყაროთ.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამხ. ლისოვსკის წინადადებისა? უმცირესობა.

გორგილაძე. (კითხულობს მე-14 მუხლს) „მიწით სარგებლობის უფლება ისპობა: ა) როცა ოჯახის ყველა წევრი თავის ნებით უარს იტყვის მიწით სარგებლობაზე; ბ) კომლის გადაშენებით; გ) როცა კომლი გადასახლდება ახალ ალაგზე და ძველ საცხოვრებელზე ხელს აიღებს; დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრულ დანაშაულობისათვის; ე) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზებისა და არხების გადასაყვანად სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათათვის და სხვ.)

შენიშვნა: „ე“-ში მოხსენებულ შემთხვევაში მიწის პატრონს უნდა აენაზღაუროს ზარალი და შეძლებისდაგვარად მიეცეს სხვა მიწა.

შ. ელიავა. მომითმინეთ, ვინ კარგავს მიწით მფლობელობის უფლებას თუ კი მთელი კომლი წყდება, ეს მამული პირდაპირ სახელმწიფო ფონდში გადადის, ვინაიდან მემკვიდრეობის კანონი ჩვენ არა გვაქვს.

გორგილაძე. ეხლა მუშავდება კანონი მემკვიდრეობის შესახებ, ის მალე გამოვა და იქ იქნება ყველაფერი დაწვრილებით ნათქვამი.

შ. ელიავა. ამ შემთხვევაში ჩემი წინადადებაა ამოწყვეტილი კომლის მიწა-წყალი პირდაპირ, უშუალოდ მექანიკურად გადავიდეს საერთო ფონდში.

პ. ხაბაშვილი. დეკრეტში № 17 მიწის შესახებ ნათლად არის ნათქვამი, რომ როდესაც პატრონი კვდება, მას აქვს უფლება ანდერძით გადასცეს თავის ქონება თავის ნათესავს. როგორ შეეფარდება ეს დეკრეტი ამ მუხლს?

თავმჯდომარე. აქ საერთო არაფერი არ არის.

პ. ხაბაშვილი. მაგრამ როგორ გავიგოთ, როგორ მოვიქცეთ? დეკრეტის მიხედვით, თუ მუხლის მიხედვით?

ს. მამულია. ამ კანონში სწერია, რომ ცხოვრებაში უნდა გატარდეს დეკრეტი № 17 და ამ დეკრეტის 29 პუნქტი შემდეგს ამბობს: უფლება მიწით მფლობელობისა წყდება: 1) მიწით მფლობელის სიკვდილის გამო, 2) როდესაც მიწათმფლობელი თითონ აცხადებს უარს მიწაზე, 3) სასამართლოს დადგენილებით და 4) როდესაც მიწათმფლობელი უმიზეზოთ უარს ამბობს მიწის დამუშავებაზე. ამ შემთხვევაში მიწა გადადის თემის განკარგულებაში და ირიცხება მიწის ფონდში. უპირატესობა კი ამ მიწის მიღებისა აქვს უახლოეს ნათესავებს იმ პირისას, რომელსაც წაერთვა მიწა.

თავმჯდომარე. ამხანაგები ურევენ. აქ ორი ცნება არის. დეკრეტში არის კონფისკაციაზე ლაპარაკი, აქ კი მთელი კომლის ამოწყვეტაზე. ასე რომ არავითარ წინააღმდეგობას აქ ადგილი არა აქვს.

ს. მამულია. მაშასადამე, თქვენ სტოვებთ ამ სახით.

თავმჯდომარე. ვიმეორებ, აქ არაფერი არ არის საერთო.

ს. მამულია. აქ ხომ ნათლად არის ნათქვამი: უპირატესობა მამულის მიღებისა აქვს უახლოეს ნათესავებს. ეს რჩება ამ სახით, თუ არა?

გორგილაძე. არა, ახალი ფორმა იქნება.

მამულია. ამ მუხლში ნათქვამი არის, რომ ცხოვრებაში უნდა გავატაროთ დეკრეტი № 17 და იმ დეკრეტში არის ის, რაც მე მოგახსენეთ, ამის შემდეგ მეტყვით, რომ აქ არ არის წინააღმდეგობა? დეკრეტში არის პრივილეგიები—ამას კანონი არ უარყოფს, მაშასადამე ეს პრივილეგიები რჩება.

თავმჯდომარე. მე კიდევ ვერ გავიგე რაზეა ლაპარაკი.

მამულია. აკი მოგახსენეთ—პრივილეგიებზე.

გორგილაძე. თქვენ დეკრეტი გაქვთ?

მამულია. არა, მაგრამ ეს დეკრეტში სწერია.

გორგილაძე. მაშ მე წაგიკითხავთ დეკრეტს და გაიგებთ რაზეა იქ ლაპარაკი (კითხულობს დეკრეტს).

მამულია. ეს რჩება.

გორგილაძე. რა არის აქ საერთო. დეკრეტში ლაპარაკია კონფისკაციაზე, აქ კი კომლის ამოწყვეტაზე.

შ. ელიავა. ჩემი წინადადებაა შესწყდეს კამათი.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე, შესწყდეს კამათი? უმრავლესობა. ვინ არის მომხრე მუხლი დარჩეს უცვლელად? უმრავლესობა. შესწორება უარყოფილია.

გორგილაძე. უკაცრავად, წეღან მე 13 მუხლი გამომრჩა, ეხლა წავიკითხავ. (კითხულობს) „მიწით სარგებლობა არის უვადო, შეუწყვეტელი და საშვილიშვილო“. (მუხლი კამათს არ იწვევს).

გორგილაძე. (კითხულობს მე-15 მუხლს) „მიწის სარგებლობის უფლების განსხვისება (გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, ან იჯარით გაცემა) აკრძალულია.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში სტიქიურ უბედურებათა (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვა) ან მუშა ხელის დაკლების (სიკვდილი, მობილიზაციით გაწვევა და სხვა) გამო დროებით შერჩეულ მეურნეობებს და აგრეთვე ქვრივ-ობლებს და მოხუცებულ დავრდომილებს უფლება ეძლევათ მიწა გასცენ იჯარით სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კონტროლის ქვეშ, რომელიც მოქმედებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების თანახმად იჯარის შესახებ. (მუხლი კამათს არ იწვევს).

თავმჯდომარე. შესწორება ხომ არ არის? არ არის. ვინ არის მომხრე მე-15 მუხლისა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია უცვლელად.

გორგილაძე. (კითხულობს მე-16 მუხლს) „დაქირავებულ შრომით სარგებლობა სასოფლო მეურნეობაში შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ აღმასრულებელ კომიტეტის კონტროლის ქვეშ: ა) იმათთვის, ვისაც იჯარით გაცემის უფლება აქვს (შენიშვნა მე-15 მუხლისა) და ბ) სასწრაფო, ვადიან სამუშაოთა სეზონში: თოხნის, მკის, ვენახის, ან სხვა მცენარეების წამლობის, ჩაის კრეფის, ჭირნახულის მოწევის დროს და სხვა“. (მუხლი კამათს არ იწვევს).

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ მუხლისა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია უცვლელად.

გორგილაძე. (კითხულობს მე 17 მუხლს) „მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ევალება შეიმუშაოს ამ დებულების გასასამართებლად ცალკე ინსტრუქციები“.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ მუხლისა? ვინ წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია უცვლელად. ეხლა წაკითხულ იქნება დამატება ამ დებულებისა.

გორგილაძე. (კითხულობს დებულების დამატებას).

თავმჯდომარე. ვისა აქვს შესწორება, ან შეკითხვა ამ დამატების შესახებ? სიტყვა ამხ. გეგეჭკორს ეკუთვნის.

გეგეჭკორი. მე მინდა ვიცოდე, არის თუ არა იმდენი მიწები, რომ ასეთი ნორმებით დავაკმაყოფილოთ ყველანი. ეს მგონი ცნუქას ანდერძია.

გორგილაძე. ეს ნორმები, რასაკვირველია, იდეალურია, ჩვენ დავაკმაყოფილებთ გლეხკაცობას შეძლების დაგვარად.

გ. კალანდაძე. ამხანაგებო, შორაპნის მაზრისათვის პროექტით ნორმა ძალიან დიდი არის დაწესებული. ჩვენ, როცა შარშან მიწა ჩამოვართვით—მემამულეთ დაუტოვეთ 4, 5 ქცევა. ეხლა კი დებულების ძალით ნორმა დაწესებულია რვა ქცევა. ეს გამოდის ისე, რომ მემამულეებს ჩვენი ჩამორთმეული მიწა უკანვე დაუბრუნეთ. ეს, მე ვფიქრობ, დიდ არეულობას გამოიწვევს.

გორგილაძე. როდესაც კომისია იმუშავებდა ამ ნორმებს ის ხელმძღვანელობდა იმ აზრით, რომ ოჯახი სამი სულისგან შემდგარი შემდეგში გამრავლდება და ამიტომ დავაწესეთ ასეთი ნორმები. ჩვენ სათადარიგო მიწები არ გვექნება, რომ შემდეგ გამრავლებულ ოჯახს შესაფერი ნორმა მივცეთ და მე კი მგონია, რომ ყოველი ოჯახი უსათუოდ გამრავლდება და ისეთი ოჯახები, რომლებიც არ გამრავლდებიან შეიძლება მთელ საქართველოში მხოლოდ ნახევარ პროცენტს შეადგენდენ.

სტურუა. ამხანაგებო, დებულებაში ნათქვამია, რომ ნორმაში არ ჩაეთვლებათ უვარგისი მიწები: როგორც ჯაგნარები, ქვიანი ადგილები, ხევები და სხვ. შეიძლება შემდეგში ასეთი მიწები ფრიად გამოსადეგნი გახდენ. მე მინდა ვიცოდე ვის გადაეცემა ასეთი ადგილები (ხმები: რასაკვირველია, გადაეცემა სახელმწიფო ფონდს).

პ. ხაბაშვილი. ჩვენ მიწა ნაკლებათ მოგვეპოვება და შეუძლებელია იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში ოჯახი გამრავლდება, ახლავე მიეცეთ ზედმეტი ნორმა. მე ვფიქრობ, რომ ეს ნორმა ძალიან დიდია და უსათუოდ უნდა იყოს გადასინჯული. გარდა ამისა, როგორც ამხ. კალანდაძემ სთქვა, გამოდის ისე, რომ მემამულეებს ჩამორთმეული მიწა უკან უნდა დაუბრუნოთ.

გორგილაძე. აქ ლაპარაკობენ, რომ ძალიანი დიდი ნორმებიაო. საქმე იმაშია, რომ არის მეტად უვარგისი მიწები: ჯაგნარები, ქვიანი ადგილები და სხვა და ბევრგან ათი დესიატინა ასეთ მიწაზე გამოსადეგი შეიძლება გამოიძებნოს მხოლოდ კალოს ოდენა ადგილი. და აი სწორედ ასეთ ადგილებისთვის არის დაწესებული დიდი ნორმა. აქ იკითხეს კიდევ, თუ ვის გადაეცემა ხევები (ოვრაგი). რასაკვირველია, თუ ხევს არა აქვს რაიმე ღირებულება ნორმაში არ ჩაეთვლება და ჩაირიცხება სახელმწიფო ფონდში, ხოლო თუ ასეთი ხევი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მასზე შეიძლება წისქვილის გაკეთება,—ის ნორმაში ჩაეთვლება.

მამულია. მე მაინც არ შემიძლია გავიგო, რა თან არის შეთანხმებული ის ნორმები, რომელიც გამომუშავებულია. მე ვაცხადებ, რომ თუ ეს ნორმა იქნება მიღებული და მით დაიწყება მიწის გაცემა, ეს გამოიწვევს ისეთ ანარქიას, რომელიც ჩვენ მოგვიტანს დიდ ვნებას. ისინი, ვისაც წინად ჩამოერთვა მიწა, მოითხოვენ, რომ ახალ ნორმებზე მიეზომოთ მათ მიწები. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვლაპარაკობთ, რომ მიწის რეფორმა არ ტარდებოდა, პირიქით ეს ტარდებოდა და ეს საქმე უკვე გატარებული არის სხვადასხვა მაზრებში სხვადასხვანაირად და თუ ეხლა დავიწყებთ ამ ახალ ნორმების გატარებას, მე გარწმუნებთ, გაიმართება დიდი ანარქია, რომელშიაც ვერავინ ვერ გაერკვევა. მე პირადად ჩიხში ვდგები და გამოსავალს ვერ ვხედავ და სინამდვილე გვაჩვენებს, რომ ეს ასე იქნება. ნორმის დაწესება ჩვენ უნდა შევუთანხმოთ ან მცხოვრებთა რაოდენობას, ან იმ მუშაობას, რომელიც უკვე გატარებულია ადგილებზე.

ფ. მახარაძე. თქვენ გევხართ ისეთ კაცს, რომლის შესახებ ამბობენ: „ნაჩალ ზა ზდრავიე, კონჩილ ზა უპოკოი“. ამდენი ხანია ვლაპარაკობთ, თუ რას ვემყარებით, რა გვაქვს მხედველობაში მიღებული, ეხლა გამოდის ამხანაგი მამულია და კითხულობს რაზე არის დამყარებული ეს ნორმებიო. მე პირდაპირ მიკვირს ამხანაგ მამულიასაგან. მან ამის შესახებ მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე მე. ეს ნორმები ადგილებზე იყო გამომუშავებული და შეიძლება თვითონ ამხ. მამულიამაც მიიღო მონაწილეობა. ეს ირკვეოდა ადგილებზე სოფლებში, მხოლოდ შემდეგ იგი გამოვიტანეთ მიწადმომქმედთა ყრილობის ცალკე კომისიაში და აი მათ მიერ გამოტანილ საბუთებზე არის დამყარებული ჩვენი პროექტი. ამხ. მამულია ლაპარაკობს, რომ ანარქია შეიქმნებაო. ანარქია სწორედ აქამდე იყო და ჩვენ მას ბოლო უნდა მოუღოთ. ჩვენ ვამბობთ, რომ რეფორმა სახელმწიფო მასშტაბით უნდა გავატაროთ და თუ ჩვენ დავუშლით, რომ ყოველგან სხვა და სხვანაირად იყოს მიწათმოწყობის საქმე გატარებული, აი ეს იქნება სწორედ ანარქია. სანამ ჩვენ დებულებას გამოვიმუშავებდით, ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენ ვერ დავუცდით მის გამოცემას, ჩვენ გლეხებს მიწა უნდა მივცეთ, მაგრამ ამასთან ჩვენ ვამბობდით, რომ ეს არის დროებითი ზომა. ჩვენ გაძლევთ ეხლა მიწას, მაგრამ ნამდვილი მტკიცე მიწათმოწყობა შემდეგ იქნება. და მართლაც, ჩვენ ეხლა ვადგენთ დებულებას, ვიმუშავებთ ნორმებს, რომელიც ყველა ადგილისთვის სავალდებულო უნდა იყოს.

ს. თოდრია. ამხანაგებო, მე მინდა მივაქციო ყურადღება იმ გარემოებას, რომ ნორმები ძალიან დიდია. მაგალითად, ქუთაისის მაზრისათვის დაწესებულია ასეთი ნორმა: სამი დესეტინა, ოთხი, ოთხნახევარი, ექვსი და შვიდი, მაშინ, როდესაც არც ერთ მემამულეს ამ მაზრაში ამდენი მიწა არა აქვს. ბევრი, ბევრი მას ქონდეს სამი დესეტინა, მეტი არა. თქვენ კი აწესებთ ასეთ ნორმას. გლეხები მოითხოვენ, რომ მათ მიეზომოთ მიწა ამ ნორმების მიხედვით. საიდან მისცემთ მას ამდენ მიწას, მე არ ვიცი. მე არ ვიცი, როცა ნორმებს აწესებდით ზღვასაც თვლიდით სახნავ მიწებათ, თუ როგორ. გლეხები კი მოგვთხოვენ. მამაჩემი მომთხოვს, აბა შვილო, მიწათმოქმედების კომისარო, ნორმაზე მომიზომე მიწაო. ასე არ შეიძლება. მე ვფიქრობ, ნორმა უსათუოდ უნდა შემცირდეს ორი მესამედი მაინც.

---

*) გაგრძელება იხ. კომუნ. №№ 109, 110, 111, 112, 114, 116, 121, 122, 123, 124, 125.

ურ ძალების სიმცირე, საკავშირო ალმშენებლობის გარდამავალი პერიოდის სიძნელეს, რომელიც გამოწვეულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკით და სხვა ყრილობა სთვლის ცენტრალურ კომიტეტის მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლად. ცენტრალურ კომიტეტის ახალ შემადგენლობას ყრილობა ავალებს ფართოდ იხელმძღვანელოს საკავშირო მუშაობის გამოცდილებით და აგრეთვე გადაუხვევლად იხელმძღვანელოს საკავშირო ყრილობების და კონფერენციების დადგენილებებით, მოაწესრიგოს პარტიასთან კავშირი, განსაკუთრებით ადგილობრივ, გააძლიეროს კავშირ შიგნით დისციპლინა, განსაკუთრებით აქტიურ მუშაკთა რიგებში, შეუბრალებლათ სდევნოს ამ დისციპლინის დარღვევა და ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ ურჩობა. მიაქციოს მთავარი და სერიოზული ყურადღება საკავშირო პრესას, როგორც სახელმძღვანელო ისე მასიურ ხასიათის გამომცემლობას, რომელიც არის მისაწდომი და საინტერესო მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის უპარტიო მასებისათვის. მაქსიმუმი ყურადღება მიაქციოს მუშაობას—მოწაფეთა და ანტიკომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს შორის. გააძლიეროს მუშაობა შრომის, ყოფა-ცხოვრების და განათლების სფეროში, რისთვისაც უნდა გამოჰყოს მუშაკთა საკმაო რიცხვი და ჩააბას ამ საქმეში მუშათა ახალგაზრდობის ფართო წრეები, მასში ინტერესის გამოწვევით“.

—

ამხ. ხაცკევიჩის მოხსენება სრ. რუსეთის კომ. ახალგაზრდობის კავშირის კონფერენციის შესახებ.

სრ. რუსეთის კონფერენციის პირველი საკითხი იყო რ. კ. ა. კ. ც. კ. ანგარიში თავის მუშაობის შესახებ. ანგარიშში უმთავრესად აღნიშნული იყო, თუ რა გაუკეთებია ც. კ. შრომის, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების და განათლების სფეროში. მუშაობა ნაყოფიერი ყოფილა, და საქმე კარგად არის დაყენებული, განსაკუთრებით სამრეწველო რაიონებში.

საორგანიზაციო მუშაობა ფრიად სუსტად მიმდინარეობდა. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა არ ყოფილა წარმოებული. ამ გარემოებას ხსნიდნენ იმით, რომ ც. კ. მთავარ ყურადღებას აქცევდა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ც. კ. მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ზოგად პოლიტიკურ ხაზს, ხოლო არა დამაკმაყოფილებლად სცნობს პრაქტიკულ მუშაობას.

კონფერენციაზე ფრიად საინტერესო მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხარინმა სამი ინტერნაციონალის თათბირის შესახებ.

უმთავრესად ამხ. ხაცკევიჩი შეჩერდა ამხ. შაცკის მოხსენებაზე ახალგაზრდათა ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ დასავლეთ ევროპაში. ამხ. შაცკიმ თავისი მოხსენება დაყო ოთხ ნაწილად: დასავლეთ ევროპის ახალგაზრდათა ეკონომიური მდგომარეობა, საერთო პოლიტიკური განწყობილება, მდგომარეობა ანტიკომუნისტურ ორგანიზაციების, აგრეთვე სოციალისტურ ორგანიზაციების, რომელნიც გაერთიანებული არიან 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალის გარშემო, ბოლოს ჩვენი, კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციების მდგომარეობა.

რაც შეეხება მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობას დასავლეთ ევროპაში, ამხ. შაცკიმ გამოყო 2 უმთავრესი ცენტრი—ინგლისი და გერმანია სამუშაო ხელფასის მიხედვით. მაგ., ინგლისში ოქტომბერსა და იანვარში ახალგაზრდობა ღებულობდა კვირაში 12 შელინგს, დიდები კი 40 შელინგს; ამ გვარად ახალგაზრდობის სამუშაო ხელფასი 3 ჯერ-ზე უფრო ნაკლებია დიდებისაზე. გერმანიაში სადაც ხელისუფლებას უდგანან სათავეში დემოკრატები ჩვენი მენშევიკების თანამოძმენი, შეიდემანელები, გაუქმებულია ახალგაზრდობისათვის 8 საათის სამუშაო დღე და შემოღებულია 5 6 სამუშაო დრო კვირაში.

ახალგაზრდობის ზოგად-პოლიტიკური განწყობილება მოდუნებულია. განვლო იმ დრომ, როცა შესაძლებელი იყო ახალგაზრდობის აღტყინება აგიტაციის საშუალებით და მისი გამოყვანა ბარიკადზე. ეს ეხლა ფრიად ძნელია. ჩვენ უნდა შევუდგეთ ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ასეთი გზით მივიმხროთ, დავიპყრათ ის და ვაშენოთ ჩვენი ორგანიზაციები.

. ჯერჯერობით კი მძლავრია დასავლეთ ევროპაში არა კომუნისტური ორგანიზაციები. ანტიკომუნისტურ ორგანიზაციების შემადგენლობა ასეთია: არსებობს გერმანიის ბურჟუაზიული კავშირი; „ევანგელისტების“ კავშირი ითვლის 450 000 წევრს, კათოლიკური კავშირი—973 წევრს; გერმანელ სკაუტები შეადგენენ 75.000 კაცს. მთელი რიგი კავშირები, მაგ., ფილოსოფიური, შემდეგ ბურჟუაზიული აერთიანებენ ახალგაზრდობის ამა თუ იმ რაოდენობას. საერთოდ გერმანიაში 12 მილიონი ახალგაზრდობიდან ანტიკომუნისტურ ორგანიზაციებში, 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის და ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში გაერთიანებულია 2 ნახევარი მილიონი ახალგაზრდობა. ჩეხოსლოვაკიაში ანტიკომუნისტურ ორგანიზაციებში ირიცხება 135 000 წევრამდე, იტალიაში 12.000. იქ არიან ჩვენი დიდი ძალები, გაცილებით მეტი, ვინემ ინგლისში. ინგლისში არის „საეკლესიო ახალგაზრდობის კავშირი“, რომელიც აერთიანებს ანგლიკანურ ეკლესიის გარშემო 60 000 წევრს, შემდეგ სკაუტები, რომელთაც ყავთ 120.000 წევრი. ახალგაზრდა ქალები იქ არიან 60 000. შემდეგ მისდევს „ბრიგადა ინგლისის სახელმწიფოებრივ ცხოვრების“—20.000 წევრი.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ ევროპის მმართველ კლასებმა დაიპყრეს მუშათა ახალგაზრდობა. ამისათვის ისინი სახელმწიფოებრივ ღონისძიებებსაც კი მიმართავენ. მაგ., იაპონიაში გამოცემულია კანონი, რომლის ძალით ამა და ამ ჰასაკის ახალგაზრდობა უნდა შედიოდეს ამა და ამ ახალგაზრდათა ორგანიზაციებში, რომელნიც ითვლიან 2.700 000 წევრს.

სოციალური შემადგენლობა ამ ანტისაბჭოთა სარწმუნოებრივ ორგანიზაციებისა ისეთია, რომ მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ ახალგაზრდობაზე და გარდაქმნან ის, როგორც მათ უნდათ. სოციალური შემადგენლობა თუ გინდ ისეთი ორგანიზაციისა, როგორიცაა კათოლიკური გერმანიაში, ასეთია: მუშათა ახალგაზრდობა—45 პროც., გლეხები—18 პრ. მოსამსახურეები და ხელოსნები 7 პრ.

ახლა ვნახოთ, რამდენი ძალაა გაერთიანებული 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის გარშემო. 2 ინტერნაციონალი აერთიანებს 180.000 ახალგაზრდას. შვეციაში ითვლება 9.000, ბელგიაში—11.000, შემდეგ წვრილ ქვეყნებში, სულ დასავლეთ ევროპის 7 ქვეყანაში 2 ინტერნაციონალი აერთიანებს 123.100 კაცს; შემდეგ ავსტრიაში—30.000, გერმანიაში—20.000, ჩეხო-სლოვაკიაში—8.000.

ჩვენი კომუნისტური კავშირი დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში აერთიანებს 400,000 წევრს, მაშასადამე, ორჯერ უფრო მეტს, ვინემ 2 ინტერნაციონალი. საერთოდ თუ გან ვიხილავთ ჩვენი ორგანიზაციების მდგომარეობას, შემდეგი სურათი გადაგვეშლება: გერმანიასა და ამერიკაში ახ. კომუნისტური ორგანიზაციები იზრდება.

სულ ბოლო დრომდე დასავლეთ ევროპის ჩვენ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ შეგნებული აუცილებლობა ეკონომიურ მუშაობის წარმოებისა. ისინი თვლიდნენ თავს მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციებად და ყურადღებას არ აქცევდნენ ეკონომიურ ინტერესებს და მდგომარეობას. მას შემდეგ, რაც მე II კონგრესს და ახ. ინტერნაციონალმა დაავალა ჩვენს ორგანიზაციებს ეწარმოებიათ მუშაობა ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მიეღოთ მონაწილეობა ყველა გაფიცვებში, უშუალო ხელმძღვანელობა გაეწიათ ეკონომიურ ბრძოლაში, შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ,—ჩვენმა ორგანიზაციებმა ეკონომიურ მხარეს მიაქციეს ყურადღება, და მუშათა ახალგაზრდობაც მოაწყდა ჩვენს ორგანიზაციებს.

რაც შეეხება ამერიკას, იქ ჩვენი ორგანიზაციის ერთი ნაწილი, რომელიც პროფკავშირებში მუშაობს არსებობს ლეგალურად, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც გამოდის არსებული წყობილების და მთავრობის წინააღმდეგ,—დევნილია და მოქმედებს არა ლეგალურად. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყნებიდან განსაკუთრებით გერმანიასა და ამერიკაში ემჩნევა გაძლიერება ჩვენს ორგანიზაციებს.

საერთოდ ამხ. შაცკის მოხსენებიდან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ ეხლა ჩვენი ორგანიზაციების ერთი მთავარ ამოცანას შეადგენს მუშაობა მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ ამ მიზნით შეგვიძლია ჩვენი ორგანიზაციების გაძლიერება გაფართოვება. ჩვენ ძირითად ამოცანას შეადგენს გამოგლეჯა მუშა გლეხთა ახალგაზრდობისა ანტიკომუნისტურ, შოვინისტურ და ბურჟუაზიულ ორგანიზაციებიდან. ამ მიზნის და საერთოდ მუშათა ახალგაზრდობის ფართე მასსის მოზიდვას ჩვენ შევ ძლებთ ეკონომიურ მუშაობის გაძლიერებით. ამ ახალ ამოცანასა და მუშაობასთან დაკავშირებით უნდა იქნას გადაკეთებული ჩვენი აპარატი. შემდეგ მომხსენებელი ეხება ახალგაზრდათა კავშირის საორგანიზაციო სტრუქტურას.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე კომ. ახალგაზრდობის დამოკიდებულებას მუშათა ერთიანი ფრონტის საკითხისადმი. ჩვენი ორგანიზაცები ატარებენ ცხოვრებაში ერთიან ფრონტს. ჯერ ჯერობით ეს მუშაობა სუსტია. საქმეს ხელს უშლის ის გარემოებაც. რომ ყველგან (მაგ., საფრანგეთში) კარგად არა აქვთ შეგნებული კომუნისტურ პარტიებსაც კი, ერთიანი ფრონტის მნიშვნელობა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საღამო

კვირას, 4 ივნის ცენტრალურ მუშათა კლუბში საბჭოთა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიერ გამართულ იქმნა დიდი, პირველი სალიტერატურო სამუსიკო ინტერნაციონალური **საღამო**.

კლუბის დიდი და ფართე ბალი ხალხით გაჭედილი იყო.

აღსანიშნავი არის, რომ ეს ურიცხვი ხალხი შესდგებოდა მთლიანათ აღებული თფილისის მშრომელი, პროლეტარული ელემენტებისაგან; ისინი არა ჰგავდნენ სრულებით რუსთაველის პროსპექტის იმ ჩვეულებრივ მტკეპნავ ინტელიგენტებს, შოვინიზმით მოშხამულ სტუდენტებს, რომლებიც მუდმივი სტუმრებია დიდ თეატრებში დადგმულ შოვინისტურ „ლეილა“-სი და გრიშაშვილების მიერ გამართულ „საღამოსი“.

— ჩვენი საღამოს მიზანი იყო: **პროლეტარ მწერალთა ასოციაციის** მიზნების გაცნობა მშრომელთა ხალხისათვის ხელოვნების სფეროში. და ამ მწერალთა ასოციაციის ფონდის გაძლიერება.

უნდა ითქვას, რომ საღამოს მოწყობას აკლდა მტკიცე ადმინისტრატორული ხელი, რომლის მიზეზით აღნიშნულ მეორე მიზანს, ასოციაციის ფონდს, სრულებით არაფერი არ შეეძინა. ვერ მოხერხდა „ბუფეტის“ მოწყობა, აუქციონის გამართვა და გამოყენება იმ მრავალი სურსათისა, რომელიც მომწყობთა განკარგულებაში იყო, მათ ვერ დააყენეს ყვავილების გაყიდვის საქმეც კი ისე ხეირიანათ, რომ მისგან რამე დარჩენილიყო.

„საღამოს“ იდეური მიზანი, რამოდენიმეთ მიღწეული იქნა.

საღამო გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ ამხ. სილვა თოდრიამ, რომელმაც გააცნო მრავალ დამსწრე ხალხს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიზანი. ამავე თემაზე ილაპარაკეს რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგმა ამხანაგებმა: რ კალაძემ, ს. ხანოიანმა, ეგნატოვმა და სხვ.

შესაფერ სიტყვების დასასრულ შესრულებული იქნა ფოცხვერაშვილის გუნდის მიერ რევოლიუციონური და სხვა სიმღერები.

საღამოს მეორე ნაწილი ლიტერატურული.—გადატანილი იქნა საზაფხულო დარბაზიდან კლუბის საზამთრო თეატრში.

აქ გამოვიდნენ როგორც მომღერალი არტისტები—შარაშიძე და სხვები, ისე ჩვენი ახალგაზრდა პროლეტარული პოეტ-მწერლები, კული, ვაკელი, ტანვტი სამსონიძე, ტიურინი, აკოფიანი, დუბენსკი და სხვები, დეკლამაციებით.

საღამოს მესამე ნაწილში იყო ბალეტი, ქალ ვაჟთა მოხდენილი ცეკვა.

საღამოს მეოთხე ნაწილში დასასრულ დადგმულ იქნა [illegible] ახალგაზრდა პოეტ[illegible]ლი, სამსონიძის) ნაწარმოებებიდან, აღმოღებული რევოლიუციონური „ინსცენიროვკები“. ეს რევოლიუციონური სურათი დამაკმაყოფილებელი იყო საერთოდ. ინსცენიროვკის „ფანტაზია“ ეკუთვნოდა სცენის მოყვარე დ. კობახიძეს.

საღამომ გასტანა ნაშუაღამის 2 საათამდე.

ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

სევასტი.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

ცხენის წყალის გამაგრება.

დამთავრებულია დიდი სამუშაო მდინარე ცხენის წყალის ნაპირების გამაგრების მიზნით. მთავრობის მიერ გაღებულ თანხებთან და მასალებთან ერთად დიდი როლი, მუშაობის ნაყოფიერად წარმოებაში, ითამაშა ადგილობრივ მცხოვრებთა ენერგიამ: გლეხები ათასობით გამოდიოდნენ სამუშაოდ მთელი ზამთრის განმავლობაში. საფრთხე, რომელმაც არა ერთხელ დაარბია და გაანადგურა სამეგრელოს მოსახლეობა, ეხლა მოსპობილია.

სახიფათო ადგილები. სამეგრელოს მსხვილი და წვრილფეხა საქონელი უკვე გაშვებულია საზაფხულოთ სახიფათო ადგილას—სამეგრელოს, სვანეთის და ლეჩხუმს შუა მდებარე, ეგრედ წოდებულ ალხანში.

მოსავალი სამეგრელოში. ახალსენაკიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, სამეგრელოში მოელიან სამაგალითო მოსავალს.

პარტიული ცხოვრება

სალხინოს რაიონი.

1922 წ. 24 მაისს მოწვეულ იქნა საქართველოს ახალგაზრდათა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის სალხინოს რაიონის მეოთხე ლეგალური კონფერენცია. სამაზრო კომიტეტიდან დაესწრნენ გრიშა კარანაძე და ერმინე ხუხუა რაიპარტკომიდან პასუხისმგებელი მდივანი. დელეგატები შეიკრიბნენ მთლიანი შრომის სკოლის დარბაზში. დღის სრულ ოთხ საათზე, რაიკომის მდივანმა ამხ. პარმენ გაგუამ კონფერენცია გახსნილად გამოაცხადა. ამხ. გაგუა მიესალმა კონფერენციას და უსურვა ენერგიული მუშაობა. ამხანაგის სიტყვა დაიფარა ტაშით, მისალმებისათვის პირველი სიტყვა მიეცა ამხ. კალისტრატე გულორდავას, რომელიც მიესალმა კონფერენციას რაიპარტკომის სახელით. შემდეგ კონფერენციას მიესალმენ მაზრკომის სახელით გრიშა კარანაძე და რაიკომის სახელით ათანასე კოკაია, ამხანაგების სიტყვები დაიფარა ტაშის გრიალით. კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებად იქნა არჩეული: 1) ნ. ლენინი, 2) ფ. მახარაძე და 3) მიუცენბურგი. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ხუთი ამხანაგები. თავმჯდომარეობს ამხ. ფილიპე ნაროუშვილი, მდივნობს ა. კოკაია. თავმჯდომარე: წინადადება შემოვიდა გაეგზავნოს მისალმებელი დეპეშები კომპარტიის ცეკას და კომკავშირის ცეკას, აგრეთვე ამხ. ფ მახარაძეს, მაგრამ რადგან რაიკომს თანხა არ მოეპოვება გამომუშავება მიენდოს პრეზიდიუმს და გაეგზავნოს რედაქციას გამოსაქვეყნებლად (ტაში) დღიური წესრიგია: 1. მოხსენება მომენტზე, 2. რაიკომის ანგარიში, 3. მოხსენება ადგილებიდან, 4. ორგანიზაციული საკითხი, 5. სოფლად ახალგაზრდობაში მუშაობა, 6. რაიკომის არჩევა, 7. ს. ა. მ. გ. კ. კ. მე-2-რე ლეგალურ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატის არჩევა, და 8. მიმდინარე საკითხები. მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ერმინე ხუხუა, რომელიც შეეხო მოხსენების შესავალში ახალგაზრდობის ისტორიას მოხსენების მეორე ნაწილში მომხსენებელი შეეხო სამივე ინტერნაციონალების კონფერენციას და გადავიდა გენუის კონფერენციაზე, რომლის გარშემო ილაპარაკა და მოკლედ აღნიშნა დადებითი და უარყოფითი მხარეები გენუის კონფერენციისა, რის შემდეგ

მ. ორახელაშვილი. ამხ. ფილიპეს განცხადება იმაზე, თითქოს არ შეიძლება, რომ თვითეულმა სოფელმა თითონ განაგოს მიწათმოწყობა—ცოტა დაიგვიანა, ვინაიდან მიწის დეკრეტი ამბობს, რომ გლეხთა კომიტეტები განაგებენ მიწათმოწყობას და რევკომების საშუალებით აწარმოებენ ამ საქმეს. ასე რომ ეხლა ამაზე უარის თქმა არ შეიძლება. მე წინადადებას ვიძლევი, რომ ამ შემთხვევაში უეჭველად ანგარიში გაეწიოთ ადგილობრივ მცხოვრებთ და მათ წარმომადგენლებს.

ს. გეგეჭკორი. მე არ ვეთანხმები ამხანაგ ორახელაშვილს, თოდრიას და მამულიას. საქმე იმაშია, რომ წინანდელი მუშაობა მიწათმოწყობის შესახებ ასეთი იყო, ჩვენ წინადადება მივეცით ყველა რაიონებს და მაზრებს, რომ მათ დროებით გაენაწილებიათ მიწები გლეხებს შორის. ეს სხვადასხვა მაზრებში სხვადასხვანაირად გაიგეს და მიწას ანაწილებდენ სხვადასხვანაირად, არა თუ სხვადასხვა მაზრებში, არამედ ერთი და იმავე მაზრის სხვადასხვა რაიონებშიც კი. მაგალითად, სენაკის მაზრაში ერთ რაიონში ერთი სისტემა იყო მიწების განაწილებისა, მეორე რაიონში—მეორე. ეს, რასაკვირველია, არ არის ნორმალური და კანონიერი, ეს არ არის განაწილება, ამიტომ ჩვენ ეხლა შევადგინეთ მტკიცე დებულება და ის უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. მხოლოდ მე მინდა ერთი აღვნიშნო. წელანაც ვიკითხე და ეხლაც ვკითხულობ, ასეთი ნორმები რომ არის დაწესებული, არის თუ არა იმდენი მიწა, რომ მაგ ნორმით დავაკმაყოფილოთ გლეხკაცობა? როგორც წელან ვთქვი, ეს მგონი ენუქას ანდერძია. ნორმა უნდა დაწესდეს განსაზღვრულ რიცხვამდე და მის დაწესების დროს უნდა ხელმძღვანელობდეთ მიწის რეალურ რაოდენობით.

თ. კალანდაძე. ამხ. გეგეჭკორის კითხვა სამართლიანი არის იმისთვის, რომ ყოველგვარ მეცნიერების მიერ დამუშავებული ნორმები უნდა იყოს დამყარებული არა მხოლოდ თეორეტიულ განყენებულ მოსაზრებებზე და იდეალებზე, არამედ იმაზე თუ რა არის ცხოვრებაში და როცა წელან მომხსენებელს მისცეს კითხვა, რაზეა დამყარებული ეს ნორმა, პასუხი იყო, რომ ეს იდეალური ნორმაო არის. კითხვა კანონიერი იყო და პასუხი კი არა-დამაკმაყოფილებელი. ეს არის იდეალური ნორმა. დიდი სამსახურია გაწეული ამხანაგების მიერ, ნახევარი მუშაობა გათავებულია, მაგრამ რამდენად არის გაწეული ანგარიში არსებულ მდგომარეობასთან, რის მიცემა შეიძლება დღეს გლეხობისთვის იმ ფონდის მიხედვით, რომელიც დღეს ჩვენში არსებობს? ერთი მხრივ შეძლება დამუშავდეს იდეალური ნორმა და მეორეს მხრივ რამდენით უნდა შეიკვეცოს ეს ნორმა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ შეკითხვა სამართლიანი იყო და პასუხი კი არ იყო. გამოსავალი სად არის? იბადება კითხვა, გავატაროთ თუ არა ცხოვრებაში ეს ნორმები. ეს ნორმა მაქსიმალურია, ეს მაქსიმუმი ძალიან მაღალია და ამიტომ იბადება კითხვა, როგორ გატარდეს ეს ცხოვრებაში, როგორ შეუფარდოთ ეს ნორმა იმ რევოლიუციონურ რეფორმას, რომელიც გატარდა. სად არის გამოსავალი? მე მგონია არის იმ წინადადებაში, რომელიც იყო შემოსული, რომ ამ შემთხვევაში თუ დრო იქნეს, დამუშავებული იქნეს ნორმები იმისდა მიხედვით, თუ რამოდენა მიწა გვაქვს.

გორგილაძე. აქ ამბობენ, რომ ის გარემოება, რომ მიწა ეძლევათ ამ ნორმების მიხედვით, გამოიწვევს ანარქიასო. ამბობენ, რომ ისეთები არ მოიპოვებიან, რომელთაც 5 დესეტინა ქონდეთო. არა, ასეთები მოიპოვებიან და იმათ უნდა დაუნარჩუნოთ, თორემ ყველას რომ ერთნაირად მივცეთ ეს იქნება თანასწორი მიწით მფლობელობა. ეს სასურველი არ არის. ჩვენ ეს პრინციპი უარვყავით ეკონომიურ მოსაზრებით და პრაქტიკულადაც, რადგან მაშინ გლეხობა მოისურვებს მთელი მიწები გაყოს თანასწორად. თუ ჩვენ გვაქვს ნათქვამი სამი დესეტინა მათ, ვისაც სამ დესეტინაზე მეტი აქვს—ჩამოვართმევთ, მაგრამ ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ყველას სამ-სამი დესეტინა მივცეთ. საიდან თუ არა გვაქვს? თქვენ ტყვილა გგონიათ, რომ სამ-ოთხ დესეტინაზე კარგი მეურნეობის მოწყობა შეიძლება. ეს იქნება დაქუცმაცებული მეურნეობა, ჩვენ კი უნდა შევქმნათ მკვიდრი, მაგარი მეურნეობა. აქ არ არის ნათქვამი და უნდა ვთქვათ იმაზე, ვისაც აქვს მიწა მის საკუთარ მამულიდან. ამბობენ, რომ დიდია ეს ნორმაო, მაგრამ ჩემის აზრით ეს დიდი ად არის. აგრეთვე ამბობენ, რომ ბევრი უმიწაწყლო გლეხები დაგვრჩება სოფლებში. ამათ დასაკმაყოფილებლად არის ტყეების გაჩეხვა, არსებობს სათადარიგო ფონდი და სხვა. ბოლოს და ბოლოს, თუ დარჩებიან დასაკმაყოფილებელნი ეს არაფერს ნიშნავს, თანდათან დავაკმაყოფილოთ ისინიც. ერთბაშად კი არაფერი კეთდება. ასე რო შეუდგეთ საქმეს, ეს დაღუპავს უკანასკნელ დანატოვარს ჩვენი მეურნეობისა. (ხმა: შეწყდეს კამათი).

ვ. კალანდაძე. საქმე იმაშია, იმ ამხანაგების, რომლებიც მუშაობენ სოფლებში, განსაკუთრებით გლეხების ხმა ნაკლებად გაისმის და მეტს ლაპარაკობენ ისინი, ვინც არ იციან რა მდგომარეობაა სოფელში, როგორ უყურებენ ნორმას და რა სამეურნეო ერთეული უნდა შექმნან. მე ვფიქრობ რომ ნორმა დამუშავებული დღევანდელ პირობებში მისაღებია. ვისაც მიწა არა აქვს, იმას ვერ მივცემთ, მაგრამ ვისაც აქვს იმას კი ვერ ჩამოვართმევთ. თუ გინდა შევქმნათ ერთგვარი მეურნეობა, თუ გვინდა სოფელში იყოს არა მარტო უმიწაწყლო, არამედ საშუალო მეურნეც, რომელსაც სურს ქალაქს მისცეს თავისი ნაწარმოები, მაშინ უეჭველია ოჯახს, კომლს უნდა მივცეთ მიწა; რომ ეს მიწა დაამუშაოს, რომ ამ მუშაობიდან რაიმე ნაყოფი გამოვიდეს. ამიტომ, უსათუოდ უნდა მივიღოთ ეს ნორმა. კითხვა სდგას ასეთი—რა უყოთ იმ გლეხს, რომელსაც არ მოუწევს ეს მიწა. რა უყოს, უნდა გამოიყენოს რაიმე წყარო ან დაამუშაოს ორი ქცევა მიწა, შემოიღოს კულტურა, ტეხნიკა და თავის პატარა მიწაზე მეტი ნაყოფი მოიყვანოს და ამნაირად გათანასწორდეს მეტი მიწის პატრონთან. ამისთვის ჩვენ უნდა შემოვიღოთ სხვადასხვა კულტურული საშუალებანი. გარდა ამისა აუარებელი მიწები არის, რომელიც ეყოფა არა მარტო გურიას, არამედ მთელ ქუთაისის გუბერნიას. იქ არის ტბები, რომლის გაშრობა მოგვცემს საკმარისს მიწას. აი ყველა ამაში გლეხობა უნდა დავაინტერესოთ ჩვენ მცარცველები კი არა ვართ, რომ მეზობელს წავართვათ და მეორეს მივცეთ. თუ არ გყოფნის მიწა, წადი, შეადგინე არტელი, გააშრე ჭაობი, მორწყე და ამით მივაღწევთ იმას, რომ გლეხებს დავაინტერესებთ და ის თავის მიწას გააუმჯობესებს და თავის ნორმას მიიღებს. ჩემი აზრით ზედმეტია ამაზე ლაპარაკი, რომ მიწა დავაქუცმაცოთ. სოფელში იყოს გლეხი, გლეხად ითვლებოდეს და მიწა კი საყოფი არ ქონდეს, რომ იმუშაოს და ამის გამო იძულებული იქნეს ქალაქში იაროს სამუშაოდ—ეს ნახევარი სოფლის და ნახევარი ქალაქის მუშა იქნება, ეს მოვლენა არა ნორმალურია. თუ სოფლის მუშაა მას საყოფი ნორმა უნდა ქონდეს და მაშინ ქალაქისკენ პირი ნაკლებად ექნება.

ჩვენ გლეხობას ვერ მივცემთ იმას, რაც არა გვაქვს და ვერც გლეხობა გვიტყვის მოგვეცით ის, რაც არა გაქვს. და თუ იმის მეზობელს აქვს, თუ იმას ჩამოვართვით—ბევრი აქვს და ცოტა ჩამოვართვითო, გლეხობა მაინც კმაყოფილი დარჩება. ამბობენ, გლეხობა აგვიჯანყდებაო, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს დეკრეტი ცხოვრებაში უკვე გატარებულია და ახლა კიდევ მხოლოდ ფორმალურად გვინდა ჩამოვაყალიბოთ. საზოგადოდ ეს დეკრეტი მიზანშეწონილია და ამისათვის მისაღებიც.

თავმჯდომარე. შემოსულია წინადადება კამათი შესწყდეს. ვინ არის მომხრე ამ წინადადების? ვინ არის წინააღმდეგი? კამათი შეწყვეტილია. გთხოვთ წინადადება შემოიტანოთ.

ს. ქავთარაძე. ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ნორმაზე, მე წინადადებას ვიძლევი, თანახმად ლისოვსკის განცხადებისა, გადაცემულ იქნას კომისიაში, რომ საკითხი გაირჩეს საფუძვლიანად და დასაბუთებულ იქნეს. მე ვხედავ აქ აგრარული რეფორმა კი არა, ნამდვილი კონტრ-რევოლიუცია არის. ამხ ვარდენ კალანდაძე ზოგს ოთხ დესეტინას აძლევს, ზოგს ნახევარ ქცევას.

თავმჯდომარე. მაშასადამე, წინადადება არის გადაეცეს საკითხი კომისიას, რათა მან გადასწყვიტოს საკითხი დამაკმაყოფილებლად გლეხობისათვის.

ს. გეგეჭკორი. არის რამოდენიმე წინადადებანი: შევამციროთ ნორმა, არ შევამციროთ და რამდენად შევამციროთ? ამხ. ქავთარაძის წინადადება კი სპობს ყველა სხვა წინადადებას, ის უფრო რადიკალურია და მას უყაროთ კენჭი პირველად.

თავმჯდომარე: მე კენჭს უყრი, მაგრამ თუ გადავეცით კომისიას მერმეთ დასამტკიცებლად ისევ პლენუმი უნდა მოვიწვიოთ (ხმები: არა, დამტკიცება მივანდოთ პრეზიდიუმს). ეს შესაძლებელია. ვინ არის მომხრე, რომ დებულება მთლიანად მივიღოთ და ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ნორმაზე გადავცეთ კომისიას და საბოლოო დამტკიცება მიენდოს პრეზიდიუმს? ვინ არის ამის მომხრე? უმრავლესობა. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე, მიღებულია.

ს. ქავთარაძე. კანდიდატები ეხლავ დავასახელოთ.

პ. ხაბაშვილი. პრეზიდიუმს მივანდოთ, ეს უკეთესი იქნება.

თ. კალანდაძე. ამხანაგებო, მე წინადადებას ვიძლევი აქ ამოვირჩიოთ კომისია, რომ მეტი ავტორიტეტიანი იქნეს.

მ. ორახველაშვილი. მე ვასახელებ მიწად-მოქმედების კოლეგიას მაზრის წარმომადგენლებთან ერთად. (ადგილებიდან ასახელებენ კანდიდატებს: ამხ. მახარაძეს, ამხ. გეგეჭკორს, ამხ. ტოროშელიძეს, ამხ. ვარდენ კალანდაძეს, ამხ. მამულიას...)

გეგეჭკორი. ვინაიდან ეს საკითხი დამტკიცდება პრეზიდიუმში, მისი გარჩევის დროს კომისია თავისუფალი უნდა იყოს პრეზიდიუმის და მთავრობის გავლენისაგან—მე წინადადებას ვიძლევი ამორიცხულ იქმნან მთავრობის და პრეზიდიუმის წევრნი.

თავმჯდომარე. სრულიად სამართლიანი აზრია. კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე დასახელებულ პირთა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ერთი ამხანაგი ადგილიდან: თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა. იმათ, ვისაც მიწა ნორმაზე მეტი აქვს, მაგრამ ეხლა მას დამუშავებული აქვს, მას ეს მიწა ჩამოერთმევა უკომპენსაციოთ თუ არა?

თავმჯდომარე. არა. წლის მოსავალი იმისი იქნება, ვინც მიწას დაამუშავებს.

ნ. ცერცვაძე. აქ არაფერი არ არის ნათქვამი საძოვრებზე, ტყეებზე, მისცემენ იმას თუ არა ვისაც ნორმა არა აქვს. (ხმა: ამ ზედ ცალკე დებულებაა საერთოდ ტყეების და საძოვარ ადგილებზე) (ხმაურობა).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, გთხოვთ ყურადღებას. ჩვენ გვაქვს ერთი პატარა საკითხი გასარჩევი, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა და რომელიც დაკავშირებული არის მიწის მოგვარების საკითხთან. ეს საკითხი აქ უნდა გავარჩიოთ თქვენ იცით, რომ დავა, რომელიც აღმოცენდა მიწის საკითხთან დამოკიდებულებიდან წყდება იმ დეკრეტით, რომელიც ჩვენ გვაქვს, საგანგებო მიწათმოქმედების კომისიის მიერ. ვფიქრობდით ამ დეკრეტის გაუქმებას და იმ შემთხვევაში საქმეები უნდა გადაგვეცა სასამართლოსთვის—სახალხო სასამართლოსთვის. მაგრამ, როდესაც ეს საკითხი დავსვით, მიწა-მფლობელმა და გლეხკაცებმა ერთხმად უარყვეს ეს პროექტი, ისინი ლაპარაკობდნენ, რომ ამის გადაცემა სახალხო სასამართლოზე შექმნის საქმის გაჭიანურებას და ამისათვის დავტოვეთ ეს საკითხი მიწათმოქმედების კომისარიატის ხელში. მაგრამ მიუხედავად ამისა მიწათმოქმედების კომისარიატი ხელმეორედ თხოულობს ამ საკითხის დასმას, ვინაიდან ამ საქმის დატოვება კომისარიატის ხელში იწვევს უხერხულობას. აქას სჭირია თავის შტატი, სპეციალისტები და ეს იწვევს დიდ ხარჯებს. ამისათვის გამოვყოთ საკითხები მიწათ-მფლობელობის ხასიათისა და დავტოვოთ ისინი მიწათმოქმედების კომისარიატის ხელში და სხვა საქმეები კი გადაეცეს სახალხო სასამართლოს. აი, ასეთი შინაარსის დეკრეტი იყო წარდგენილი პრეზიდიუმში, მაგრამ, ვინაიდან ამას აქვს ბევრი საერთო მიწათ მფლობელობის საკითხთან ჩვენ ეს შევაჩერეთ და გასარჩევად და დასამტკიცებლად წარუდგინეთ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმს. ეს პატარა დეკრეტია და შეიძლება წაკითხულ იქნას (კითხულობს).

(ხმები: ჯერ-ჯერობით საჭირო არ არის ამ დეკრეტის მიღება).

ხტურუა. ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმს მიღებული აქვს თუ არა ეს დეკრეტი?

თავმჯდომარე. არა, ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმმა მისი განხილვა შეაჩერა პლენუმამდე.

ხტურუა. მე მგონია, რომ აქამდე მიწის შესახებ დავას ქონდა ადგილი იმიტომ, რომ მიწათ მოწყობის დებულება არ იყო გამოცემული, მაგრამ ამის შემდეგ, როცა საკითხი გადაწყვეტილია და დებულება მიღებული, ასეთი დავები ცოტა იქნება და თუ იქნება მხოლოდ ქალაქის მიწების ირგვლივ. და ამიტომ მე ვფიქრობ ამის შესახებ დეკრეტის მიღება არ არის საჭირო. (ხმები: არ არის საჭირო).

ს. მამულია. მე, ამხანაგებო, წინააღმდეგი ვარ ამ დეკრეტის მიღებისა შემდეგის მოსაზრებით...

თავმჯდომარე. ვინაიდან კრება იმნაირად არის განწყობილი, რომ მას არ სურს ამ დეკრეტის მიღება, წინადადება არის, რომ ამ დეკრეტს კენჭი ეყაროს უკამათოდ. წინადადება, რომ ეს დეკრეტი ჯერჯერობით ვცნოთ არა-დროულად და მოვხსნათ. ვინ არის მომხრე ამ წინადადების? ვინ არის წინააღმდეგი? დეკრეტი მოხსნილია. ეხლა სრულდება 12 საათი. დღის წესრიგში დგას მოხსენება ფედერაციის შესახებ. (ორახელაშვილი: მე დამჭირდება მხოლოდ ათი წუთი). არის კიდევ მოხსენება სიმშილის შესახებ. გარდა ამისა უნდა შესდგეს არა-ოფიციალური სხდომა უსათუოდ ადგილობრივ ამხანაგების დასწრებით ნატურნალოგის შესახებ. თქვენ იცით, რომ ეს საკითხი მეტად მძიმე არის. ამ საკითხში ბევრი რამ არის გამოსარკვევი, გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ამ საკითხში ცვლილება უნდა მოხდეს და ამიტომ მე ვეკითხები კრებას—შეგვიძლია თუ არა ყველაფერი ეს გავარჩიოთ?

პ. ხაბაშვილი. მე მგონია, დღეს მეტად დავიღალეთ. ეხლა კრება დავხუროთ და გადავდოთ ხვალ დილის ათი საათისათვის.

შ. ელიავა. ამხანაგებო, ტეხნიკურად შეუძლებელია დავნიშნოთ კრება ხვალისათვის. შეუძლებელია დასვენება არ მივცეთ სტენოგრაფებს. მთელი დღეა ეს ხალხი მუშაობს, სწერენ ყველა ჩვენ სიტყვებს. მათი მუშაობა კატორღაზე უარესია და არ შეიძლება, რომ ხვალ ისევ კრება დავნიშნოთ. (მამულია და საბაშვილი: სჯობიან ხვალისათვის დაინიშნოს კრება).

ს. გეგეჭკორი. მე ვფიქრობ, სხდომა დავნიშნოთ ორშაბათს დილის 11 საათისათვის. სულ ერთია ხვალ ბევრი ჩვენგანი არ მოვა. ყოველ შემთხვევაში არ მოვა იმდენი, რომ შესდგეს ქვორუმი და კრება გაიხსნეს. მაინც არა მგონია, რომ ვინმე მოვიდეს. ყოველ შემთხვევაში მე ვაცხადებ, რომ ხვალ მე ვერ მოვალ (სიცილი).

პ. ხაბაშვილი. ამხანაგებო, ჩვენ ის კი არ უნდა ვთქვათ, რომ ხვალ რაღაც უქმე არის. ბევრი ამხანაგი პროვინციიდან არიან ჩამოსულნი და თუ მათ კიდევ ხვალამდი მოვაცდევინეთ ეს იქნება დანაშაული. მე არ მესმის როდის გახდით თქვენ მართლმადიდებელნი, რომ ხვალინდელი დღე გინდათ იუქმოთ. (სიცილი. ხმები: დავნიშნოთ ორშაბათს დილის ათი საათისათვის).

სტრუა. ორშაბათს მიტინგებია დანიშნული ლენაში მუშათა დახვრეტის აღსანიშნავად და ბევრ ამხანაგს არ ეცლება. (ხმები: მიტინგები საღამოთი იქნება და დილით კი ყველას ეცლება).

თავმჯდომარე. ამნაირად არის შემდეგი წინადადებები: ერთი—რომ სხდომა დაინიშნოს ხვალისათვის, მეორე—ორშაბათს დილის ათი საათისათვის და მესამე—ორშაბათს დილის თერთმეტი საათისათვის. კენჭს უყრი ვინ არის მომხრე პირველი წინადადების? მეორის? მესამის? ამნაირად კრება სწყვეტს შემდეგი სხდომა დაინიშნოს დილის 10 საათისათვის. კრება იხურება ღამის 11 საათსა და 52 წუთზე.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენცია მოხსენებას სცნობს დამაკმაყოფილებლად. რაიკომის ანგარიშის შესახებ გამოვიდა ამხ. ა. კოკაია. მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ერმინე ხუხუამ და რაიპარტკომის მდივანმა ჩარგაზიამ, რომლის შემდეგ მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

ადგილებში მუშაობის შესახებ ილაპარაკეს თემკომის მდივნებმა და ჩანასახის ხელმძღვანელებმა.

საორგანიზაციო და სოფლად ახალგაზრდობაში მუშაობის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. გ. კარანაძემ, რომლის მოხსენება კონფერენციამ სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად. სანამდის კონფერენცია არჩევნებზე გადავიდოდა მანამდის წარმოთქმული იქნა სიტყვები, რომელნიც მოუწოდებდნენ კონფერენციას ენერგიული ამხანაგების არჩევაზე. რაიკომის არჩევის გარშემო ემსჯელა კონფერენციამ და რაიკომში გაყვანილი იქნენ ერთხმათ 1. პარმენი გაგუა, 2. ფილიპე ნაროუშვილი, 3. ისაკი ცავა, 4. აპოლონი ხარება და 5. ათანასე კოკაია. კონფერენციამ გამოიტანა მისასალმებელი რეზოლიუცია გენუაში წასული დელეგაციის საპატივსცემოდ.

რის შემდეგ კონფერენცია დაუსრულებელი ტაშის გრიალით დაიხურა.

ა. კოკაია.

მუშათა შორის

კრებები და მიტინგები.

„გემო-კვების" კავშირში.

წყლის და მოტორიან წისქვილების მუშა-მოსამსახურეებმა, რომელნიც შედიან „გემო კვების" კავშირის საქარხნო კომიტეტის № 20-ის შემადგენლობაში ივნისის 2 ს გამართულ საერთო კრებაზე მოისმინეს მოხსენება „გენუის კონფერენციისა და ქართველ მენშევიკების" შესახებ და მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„წყლის და მოტორიან წისქვილების „გემო კვების" კავშირის საქარხნო კომიტეტის № 20-ის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება გენუის კონფერენციისა და მენშევიკების 26 მაისის უკანასკნელ გამოსვლების შესახებ, იწონებს გენუაში მყოფ საბჭოთა წარმომადგენლების მოქმედების და უთვლის ზიზღს მუშათა კლასის ყველა მოღალატე ყვითელ სოციალისტებს, რომელთაც მუშათა კლასი ჩაუგდეს ხელში დასავლეთ ევროპის მტაცებელთ. მხოლოდ საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შინაურ მტრებს—ქართველ მენშევიკებს, რომელნიც შეეცადენ 26 მაისს მუშათა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას, ჩვენ ვუცხადებთ ზიზღს, როგორც მუშათა კლასის მოღალატეებს, მსოფლიო კაპიტალის ლაქიებს და მათ ყოვილივე კონტრ-რევოლიუციონურ ცდებს გაუსწორდებით მტკიცე რევოლიუციონური ხელით. ჩვენ მოვითხოვთ მუშათა მთავრობისაგან იმ პროვოკატორების ალაგმვას, რომელთაც მუშათა კლასისათვის მძიმე წუთებში განიზრახეს მის და მუშათა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა.

არავითარი შეღავათი და დაზოგვა მათ!

ძირს მუშათა კლასის მოღალატე—მენშევიკები!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის ჭეშმარიტ ხელმძღვანელს—კომუნისტურ პარტიას.

ყოფ. საფაროვის თამბაქოს ქარხანაში.

მოისმინა რა მოხსენება 24—26 მაისს მომხდარ ამბების შესახებ ყოფ. საფაროვის თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება უთვლის ზიზღს საერთაშორისო კაპიტალის აგენტებს—მენშევიკებს, რომელნიც ხელს უშლიან საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას საქართველოში ისეთი გამოსვლებით, რომელიც ეყრდნობა ნაციონალისტურად განწყობილ ერთ მუჭა ქართველ ინტელიგენციას, სასულიერო წოდებას და მემამულეებს; ჩვენ ვაცხადებთ ყველას გასაგონად, რომ მხოლოდ მუშათა კლასის მტრებს შეუძლიან მოთმინებით უცქირონ მენშევიკების გამოსვლებს, რომლებმაც დიდი ხანია განიცადეს სრული დამარცხება და დაჰკარგეს ყოველგვარი ნდობა მუშათა მასის თვალში. დეე, დარწმუნდეს ყველა, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია საბჭოთა ხელისუფლების შინაარსი, რომ 26 მაისი არის დღესასწაული ქართული ბურჟუაზიისა და სასულიერო წოდებისა და არა საქართველოს მუშათა და გლეხთა დღესასწაული. არის ერთი დღესასწაული საქართველოს მშრომელთა იდეის გამარჯვებისა—25 თებერვალი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე.

აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო.

მიწათმოქმედების შინამრეწველობის განყოფილების, აბრეშუმის საქსოვ სახელოსნოს და მეაბრეშუმეობის სადგურის მუშა მოსამსახურეებმა 30 მაისის გაერთიანებულ საერთო კრებაზე მოისმინეს მოხსენება ამხ. გევორქიანისა გენუის კონფერენციის და ქართველ მენშევიკების შესახებ და გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ მიწათმოქმედების შინამრეწველობის განყოფილების, აბრეშუმის საქსოვ სახელოსნოსი და მეაბრეშუმეობის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა, მოვისმინეთ რა ამხ. გევორქიანის მოხსენება გენუის კონფერენციისა და ქართველ მენშევიკების შესახებ, მიგვაჩნია გენუაში მყოფი ჩვენი დელეგაციის ტაქტიკა სავსებით სწორად და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ძალებისა და უფლების შესაფერისად.

ჩვენ ვაცხადებთ ყველას გასაგონად, რომ თუ ვინმემ გაბედა შელახვა სოციალისტური ცხოვრების მოწყობის უფლებისა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგების სისხლით, ჩვენ როგორც ერთი კაცი ფეხზე დავდგებით და გავცემთ მას ღირსეულ პასუხს. გამოვსთქვამთ რწმენას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შემდეგი მოლაპარაკების დროს, ჩვენი დელეგაცია ღირსეულად დაიცავს მუშათა კლასის ინტერესებს და 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალების ყველა ინტრიგები, რომელსაც სათავეში უდგანან მუშათა კლასის მტრები მენშევიკები, განიცდის სრულს დამარცხებას.

ძირს გამყიდველი—მენშევიკები!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!

ჩვენი ფოსტა

ბათომი. „პროლ. ბრძოლას" დღეიდან გამოგეგზავნებათ რეგულიარულათ.

პარტიული

იაჩეიკის ყველა მდივნებს

საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე 2-ე რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ ამა წლის 10 ივნისს **კარლ მარქსის სახელობის კლუბში** (პლეხანოვის ქუჩა), საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე-2 ე რაიონული კომიტეტის წევრების და კანდიდატების სამხედრო ორგანიზაციებთან ერთად

საერთო კრება

დღის წესრიგშია:

1) სრულ. რუსეთის ც. ა. კ მესამე სესია.

გამოცხადება ყველასათვის სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. **გევორქიანი.**

სარედაქციო კოლეგია

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა პარტიის წევრი

ევგენია აკოპიანი

ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან კვირას 11 ივნისს დილის 10 საათზე, პასკევიჩის ქუჩ № 11 ვერის სასაფლაოზედ.

დამწუხრებული მშობლები აკოპ მინას ძე და მარგარიტა სვიმონის ასული აკოპიანები, ძმა რუბენი და და რანუშ, აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს პირველთა ასული და უკანასკნელების ძვირფასი დის

ევგენიას

გარდაცვალებას, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 7 ივნისს, საღამოს 9 საათზე. ცხედარის გამოსვენება ბინიდან მოხდება 11 ივნისს დილის 10 საათზე. პასკევიჩის ქუჩა № 11, ვერის სასაფლაოზე.

ს. ს. ს. რ. რკინის გზების მილიციის ბაზის სამმართველოში (ელისაბედის ქუჩა № 200) ინიშნება კვირას 11 ივნისს ა|წ

საჯარო გაყიდვა

ახალი ეტლის და ორი ცხენის თავის მოწყობილობით.

რესპ. მილიციის სამმართველო.

1—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მართველობისაგან

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამართველომ, გზების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისას, ეკონომიურ სამსახურთან, მოაწყო სავაჭრო განყოფილება, რომლის კომპეტენციაში შედის:

1. ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე **ყოველგვარ სავაჭრო ხელშეკრულების დადება და** ოპერაციები სადგურების მიერ, საქონლის გამგზავნელთაგან, გადასახადის გადახდით, ყოველგვარ საქონლებისა და ვალიუტის მიღება.

2. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დიდ ცენტრებში **სამარშრუტო მატარებლების რეგულიარულად მიმოსვლის მოწყობა,** ყოველგვარ საქონლის გადასაზიდ გადმოსაზიდათ. აგრეთვე მიიღება საქონლის გადაზიდვა **ცალკე ვაგონებით, ჯგუფობრივ ვაგონებით და მთელი მატარებლებითაც.** მგზავრების პირობების გაუმჯობესებისათვის სავაჭრო განყოფილება აწყობს **სავალიუტო გადასახურდავებელ კასებს** თბილისის, ბაქოს, ბათომის და სხვა დიდი ცენტრების სადგურებზე.

გარდა ამისა საყოველთაოდ ცხადდება, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამართველომ ხელშეკრულება დასდვა კასპიის ოლქის გზათა მოძრაობასთან, რომლის ძალითაც სავაჭრო განყოფილება აწყობს **საქონლის გადაზიდვა გადმოზიდვას** კასპიის ზღვის ყველა ნავთსადგურებში, აგრეთვე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში, სპარსეთში და თურქესტანში.

ყოველგვარი ცნობის შესახებ უნდა მიმართოთ ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურში—სავაჭრო განყოფილების უფროსს.

გაიხსნა ქალაქ თბილისსა, ბათომსა და ბაქოში **ქალაქის სადგურები** შემდეგი ოპერაციების საწარმოებლად:

1. ყოველი მიმართულების **სამგზავრო ბილეთების გაყიდვა.**

2. **მიღება და გაცემა ბარგისა და ტვირთისა,** სათანადო საბარგო კვიტანციების და „ნაკლადნოის დუბლიკატების" მიცემით, და საქონლის რკინის გზის სადგურიდან მაღაზიაში, საწყობებში და ბინაზე, ან პირიქით სადგურზე მიტანით.

3. **საწყობში შენახვის ოპერაციები.** შენახვა საქონლისა რკინის გზით მათი გაგზავნამდე, ან და მისი მიღების შემდეგ.

4 **საქონლისა და ბარგის დაზღვევა** გზაზე და საწყობებში.

5. ოპერაციები **ფასდადებითი** გადახდით.

6. **ყოველგვარ ინკასიურ დავალებათა შესრულება** (ნაღდი, საქონელზე გაცვლითი, დოკუმენტებით).

7. გასაგზავნ საქონლისა და ამანათების **შეკვრა და ჩაწყობა.**

8. **გაცემა სესხისა საქონლის თავდებობით** საწყობებში, ავანსებისა, საქონლის დოკუმენტების ქვეშ, და სავაჭრო აკრედიტივები.

9. **გადასაგზავნი ოპერაციები** (გადაგზავნა ფოსტითა და დეპეშით).

10. **გადაგზავნა საქონლისა** ყველა მიმართულებით, საზღვარგარეთ ექსპორტი, ყველა საბაჟო ფორმალობათა შესრულება, ბაჟის გადახდა, ტრანზიტი და სხვ

11. **ყიდვა და გაყიდვა საქონლისა** კლიენტების დავალებით.

12. სხვა და სხვა ფირმების **წარმომადგენლობის** მიღება საქონლის გაყიდვისა და გავრცელების საქმეში.

პირობები, რომლითაც შესრულებული იქნება ყველა ზემო ჩამოთვლილი ოპერაციები, შეიძლება გაიგონ მსურველებმა ქალაქის სადგურებზე და აგრეთვე ამიერკავკ. რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თბილისის ქალაქის სადგური მოთავსებულია თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანზე თამამშევის ქარვასლაში და ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ხოლო კვირაობით ნაშუადღევის 2 საათამდე.

ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებობს მშვენივრათ მოწყობილი ტიპო ლიტოგრაფია რკინის გზათა სამმართველოსი, რომელიც იღებს კერძო შეკვეთებს ტიპო-ლიტოგრაფიული სამუშაოსას. (ანდრეევისა და ფარვერკერის ქუჩა, კუთხე № 50).

(3—1)

ბაზარზე გავლენის მოსახდენად და მასიურათ მოთხოვნილების საგნების გაიაფების მიზნით

სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამ კვირის ბოლოს, სასახლის ქუჩაზე ჟირარდოვისეულ შენობაში

ხსნის მაღაზიას

რომელსაც ექნება შემდეგი განყოფილებანი:

ფართლეულისა, ფეხსაცმლისა,
საგალანტერიო საგნებისა,
ჭურჭლეულისა და ფართო
მოთხოვნილების საგნებისა.

საქონელი გაიყიდება ყველაზე.

პროფკავშირთა წევრებს საქონელი ფასდაკლებით დაეთმობათ.

4—2

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების რკინის გზების სამმართველო აცხადებს, რომ მოიჯარადრეების მიერ, სავაჭრო ფარდულების, ბუფეტების და სადალაქოების საიჯარო ფულის გადაუხდელობის გამო ქვემო ჩამოთვლილ სადგურებზე **1922 წლის 15 ივნისისათვის დღის 12 საათზე სამართველოს ბინაზე** დანიშნულია

კონკურენცია იჯარით გასაცემათ ბუფეტების

სადგურებში: თბილისში, ხაშურში, სამტრედიაში, ბათუმში, რიონში, ტყიბულში, ზესტაფონში, შორაპანში, მე-3 კლ. საჩხერეში, ავჭალაში, წნორის წყალი, ყარაიაზში, ჭიათურაში, მოლითში, სანდარაში, ბახტაში, ფოთში, ფოთის ნავთსადგურში, ძეინავში, მანასში, ინჩხში, ბერიკეიში და ვაჩნაძიანში.

სავაჭრო ფარდულების

სადგურ: ფოთში, შორაპანში, ხაშურში, წალვერში. მოლითში, ბორჯომში, გორში, ავჭალაში, ქუთაისში, ჭიათურაში, მარელისში, დერბენტში, სურახანში, ეჩმიადძინში და მეორე სავაჭრო ფარდულების სადგ. კარაკლისში და ალექსანდროპოლში.

სადალაქოების

სადგ. ფოთში, გორში, ჭიათურაში, ლანჩხუთში და ხაჩმასში. განცხადებების შემოიტანა შეიძლება პირადად და ფოსტით. განცხადებებს თან ახლდეს უნდა ქვითარი (კვიტანცია) გირაოს შესახებ შემდეგი რაოდენობით: ცხელი საჭმელებით ბუფეტებისთვის 4.000,000 მან., ცივი საჭმელებით ბუფეტებისთვის 500,000 მან სავაჭრო ფარდულებისთვის 200,000 მან. და სადალაქოებისთვის 100.000 მანეთია. დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველებს კონკურენციის შესახებ შეუძლიათ ეკონომიურ სამსახურში, ყოველდღე 10-დან დღის 2 საათამდე გარდა უქმე და კვირა დღეებისა.

(3—1).

საქართველოს უმაღლესი სამეურნეო საბჭო

ამით აცხადებს, რომ

ცენტრალურ საწარმოო განყოფილების ბინაზე

(პუშკინის ქუჩა № 3)

15 ივნისს 12 საათზე დანიშნულია იჯარით გაცემა

300.000 ფუთის ხის ნახშირის დამზადებისა ჩათახის თუჯის ქარხნისათვის.

მოიჯარადრეები, რომლებიც ისურვებენ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულნი არიან 14 ივნისამდის წარადგინონ ზემოაღნიშნული დაწესებულების კანცელარიაში დახურული კონვერტები თავიანთი პირობებით.

დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე 11—2 საათამდის ცენტრალურ საწარმოო განყოფილების კანცელარიაში.

3—3

ქალ. თბილისის აღმასრულ. კომიტ.

გადასახადთა ბიურო აცხადებს, რომ 11 ამა ივნის დღით 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოჩამოთვლილ სასტუმროების:

1. **„ბომონდი"** .	მიხეილის პრ. № 10.
2. **ანატოლია ბაქო** .	აბანოს ქ. № 21.
3. **ვარსკვლავი** .	ვარანცოვის ქ. № 37.
4 **ვლადიკავკაზ** .	19 თებერვლის ქ. 59.
5. **ბრიტანია** .	ოლღას ქ. № 42.
6 **შირაზი** .	ბნელი რიგი № 24.
7. **მოსკვა** .	ეკლესიის ქუჩა.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მე 11 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე ამხ. დარახველიძესთან.

2—2

(ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი) ტეხნიკუმის

მათემატიკის მასწავლებელი

ივ მ. მაჩაიძე ამზადებს: 1) ტეხნიკუმის 1, 2, 3, 4, კლასში შესასვლელად. ბავშვებს—შრომის სკოლაში, 3, 4, 5, 6, 7, 8 ჯგუფში. ქალებს საბებიო ინსტიტუტში შესასვლელად, აფთიაქის მოწაფის და მასწავლებლების ხარისხის მისაღებად, განმეორებითი გამოცდებზე: ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში და ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე, № 25—5. ნახვა 9—12 ს. საღ. 3—6 ს.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

საჭიროა საჩქაროთ ამერიკული სისტემის

შკაფი-რეგისტრატორი

მსურველებმა მიმართოს სასახლეში, ოთახი № 7.

გაზეთის ტრესტი

რკინის გზების კიოსკების განყოფილება

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე:

თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების გაზეთების და **ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

დაიკარგა

ლავრენტი დადუნაშვილის სახელზე ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი—მატრიკული № 4083. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1.

ტირაჟი 10,000.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.